წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. პარასკევი, 4 მარტი 1916 წ. № 50

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.
უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

სასტუმრო „ავრორა“
ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
სასტუმროსთან მოწყობილია
სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—)

„წყლის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა
სასტუმრო ჯუგაანი
სასტუმრო მოწყობილია სუფთად და
ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით
15—16 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

(პარკი) „ქისეტი“ (პარკი)
სააღდგომო საჩუქარი კავკ. ჯარის მეომრებისათვის.
კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის უავგუსტოესმა მეუღლემ
მისმა იმპერატორობითი უმაღლესობამ, დიდი მთავრის
ნიკოლოზის ასულმა ანასტასიამ
იკისრა მზრუნველობა სააღდგომო საჩუქრების „ქისეტების“ დასამზადებლად და გასაგზავნად კავკასიის არმიის მხნე ჯარის-კაცებისათვის.

კავკასიის მკვიდრთ, რომელთაც უყვართ თავისი ჯარი და ამაყობენ მისი სასახელო გამარჯვებით, მოუწოდებენ, გამოიღონ წვლილი ამ კეთილი საქმის მოსაწყობად.

ქრისტეს აღდგომას ბედნიერ დღეს ჩვენს გმირს—მეომრებს დიდად გაახარებს სამშობლოდან მიღებული მისალოცი, როგორც ნიშანი სიყვარულისა და მზრუნველობისა.

ნურავინ მოერიდება შემოწირულობის სიცოტავეს. ყოველს შემოწირულებას, სულ მცირესაც დიდის მადლობით მიიღებენ.

შემოწირულებად მიიღება: ცხვირსახოცები, ყარანდაშები, ფოსტისა და პაპიროზის ქაღალდი, თამბაქო, წუმწუმა, შაქარ-ყინული და სხვა ტკბილეულობა.

შემომწირველთ სთხოვენ: ქისეტში მოათავსონ ყარანდაში, ცხვირსახოცი, 5 ფურც. ფოსტის ქაღალდი, 5 კონვერტი, 1/4 გირვ. თამბაქო, 2 პაპიროსის ქაღალდი, კოლოფი წუმწუმა და 1/4 გირ. შაქარ-ყინული.

ყოველგვარს შემოწირულებას მისი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის, ანასტასია ნიკოლოზის ასულის მინდობილობით მიიღებს ყოველ დღე 2—4 საათ. გენერალ-ლეიტენანტი სტალი, ერმოლოვის ქუჩა, № 9. ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფოსტითაც.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

[illegible]
პირველი წელი პირველი წელი
„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან
სამ თვეში ერთხელ გამოვა
პაზმული და სამხატვრო კრებული
„მერანი“
კრებული წლიურ. ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული
„მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.
[illegible]

ქართველ ქალთა ამხანაგობის
საზოგადო კრება
დანიშნულია კვირას, 6 თებ. 12 საათზე საზოგადოების ჭრა-კერვის სადგომში გაბაანთ ქუჩა № 3.
კრების განსახილველია შემდეგი საგნები: 1) შემოსავალ-გასავლის დამტკიცება 1914 წ. ენკენ. 1915 წ. ენკენისთვემდე. 2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1915 წ. ენკენ. 1916 წ. ენკენისთვემდე. 3) საზოგადოების გამგეობის 3 წევრის არჩევა, სარევიზიო კომისიის 2 წევრის და არჩევა ქალთა ამხანაგობის წევრებისა. ქართულ კულტურულ კავშირში მონაწილეობის მისაღებად და სხ. მიმდინარე საქმეებისა.
(3—1)

სახალხო სახლი (ზ. ზუბალაშვილის სახელობისა)
ორშაბათს 7 მარტს 1916 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ცნობილი ტრაღედია ვ. შექსპირისა
ო თ ე ლ ო
ტრაღ. 5 მოქ. და 9 სურ. თარ. ივ. მაჩაბლისა.
ოტელოს როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ალ. იმნაძე გიორგი, თარალაშვილი ი., მამფორია ილ. ჟღენტი იოს., სარაული მ. ვარვარიძე ვ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პ., ჩაგუნავა ნ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.
მორიგი წევრი გამგეობისა: ი. გედევანიშვილი.
ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მან. 50 კ.-დე".
(3—64—1)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 2 მარტი. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. ფრიდრიხშტადტის რაიონში გამოჩნდა მტრის ჰაეროპლანი, რომელიც უმალვე მიიმალა, რაწამს რუსებმა სროლა აუტეხეს. იაკობშტადტის მახლობლად მკვირცხლი ბრძოლაა. დვინსკთან, ილლუქსტის მიდამოებში და პონევეჟეს რკინის გზისკენ, რუსთა არტილერიამ გაჰფანტა მტრის რაზმი. მედუმის ტბისა და დემმენის ტბის შუა რუსებმა მარჯვედ მოახვედრეს მიმავალ საბარგულებს. პრიპიატის სამხრეთ და გალიციაში სტრიპის რაიონში რამდენიმე შემთხვევა იყო მტრისა და რუსის მზვერავთა შეტაკებისა, რაიც ყოველთვის რუსთა სასარგებლოდ თავდებოდა.

კავკასიის ასპარეზი. ოსმალთა დევნის დროს რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 336 ასკერი, 21 აფიცერი, ამასთანავე დავლად დარჩათ ორი ზარბაზანი.

პარიზი, 1 მარტი. დეპუტატთა პალატაში, პალატის თავმჯდომარემ განაცხადა ვერდენთან ბრძოლაში სენის დეპარტამენტის დეპუტატი ანდრეტომი მოკლული იქმნაო.

პარიზი, 1 მარტი. საღამოთი მოსული ცნობა. მდ. ენის ჩრდილოეთით გერმანელები სამჯერ შეეცადნენ ჩვენს თხრილებში შემოჭრას, რომელნიც დებიუტის ტყის გაყოლებით მისდევენ, მაგრამ ყველა მათმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. არგონებში ჩვენმა არტილერიამ მარჯვედ დაუშინა ფურდე-პარის ნაწილს, სადაც შეჰნიშნეს ყუმბარების აფეთქება. მდ. მაასის დასავლეთით დიდი ყალიბის ზარბაზნებმა ორმაგი სიმკაცრე გამოიჩინეს ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ ბეტანკურთან და კიუმიერთან. ამ დღეს გერმანელებმა სასტიკი იერიში მოიტანეს, მაგრამ მოგერებულ იქმნენ და დიდი ზარალიც მოუვიდათ. მათ მხოლოდ ორს პუნქტზე მოახერხეს შეჩერება ბეტანკურისა და მორტომის შუა. მდ. მაასის აღმოსავლეთით და ვევრში ორთავე მხრით არტილერია მძვინვარებდა. ქვეითი ჯარების შეტაკება არ მომხდარა. სენმიელის ჩრდილოეთით ჩვენმა ბატარეამ ზარბაზანი დაუშინა მტრის ბარაკებს გელიკურის ტყეში. ლოტარინგიაში ჩვენმა არტილერიამ გაჰფანტა მტრის რაზმები დელმის აღმოსავლეთით. ვოგეზებში ორთავე მხარის არტილერია მძვინვარებს შაპლოტის ნაწილში ტიურის ღელეში. შტოსვიერში და კარტსპახში უეცრივ თავს დავესხით მტრის სადარაჯოებს და 60 ტყვე წამოვიყვანეთ. 6 ჩვენი მფრინავი გაემართა ბრიულესკენ, 42 ყუმბარა ჩამოაგდეს და უვნებლად დაბრუნდნენ. დღეს მრავალჯერ მოხდა შეტაკება ჰაერში ვერდენის რაიონში. ამასთანავე სამი ჰაეროპლანი შეჰნიშნეს, რომ ჩამოეშვა მათს ბანაკში. ერთი ჩვენი ჰაეროპლანი შეებრძოლა მტრის ოთხს მფრინავს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ერთი მათგანი ჩამოაგდო ლიურეს აღმოსავლეთით და შემდეგ უვნებლად დაგვიბრუნდა.

პარიზი, 1 მარტი. დღისით მოსული ოფიციალური ცნობა. მაასის დასავლეთით მთელი ღამის განმავლობაში საკმაოდ მკვირცხლი საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ასეთივე ძლიერი სროლაა ვო-დიუომონის რაიონში. ვევრში, უფრო ეიქსის სექტორში, საარტილერიო ბრძოლაა. ამ რაიონში თვალსაჩინო არა მომხდარა რა. ლეპერტის ტყესთან გერმანელთა მზვერავი რაზმი შეეცადა თავს დასხმოდა ჩვენ თხრილებს, მაგრამ სროლით შევეგებეთ და გავფანტეთ. მათ რამდენიმე მოკლული დასტოვეს. დანარჩენ ფრონტზე შედარებით სიწყნარე იყო.

ლონდონი, 2 მარტი. ოფიციალი ცნობა ინგლისის მთავარ ბანაკისა. საფრანგეთის ასპარეზზე, ლაბასსეს არხის სამხრეთით და ნევაპელის მახლობლად ინგლისელებმა ნაღმით ააფეთქეს გერმანელების ორი გამაგრებული სანგარი; ზარბაზნებს ესროდნენ ინგლისელები იპრის ჩრდილოეთით მდებარე სანგრებსაც. მოპირდაპირე მედგრად უშენდა ზარბაზანს ლანსის დასავლეთით მდებარე სანგრებს.

თეირანი, 1 მარტი. რუსის ჯარის დაახლოვებამ ისფაჰანში მოძრაობა გამოიწვია. გერმანელთა აგენტები სტოვებენ თავიანთ ადგილებს და შირაზისაკენ, თეზდისაკენ და კერმანისკენ მიეშურებიან. მართლდება ხმები, ვითომც კერმანში უთანხმოება მომხდარიყოს ბახტიარებსა და გერმანელთა მომხრეების შორისაც სისხლის ღვრამდე მისულა საქმე.

კოპენჰაგენი, 2 მარტი. ვენის „კორესპონდენტ-ბიურო“ იუწყება: გერმანეთის და პორტუგალიის ომის გამოცხადების გამო, ავსტრო-უნგრეთის ელჩს ლისაბონში უბრძანა თავის მთავრობამ, მოითხოვოს თავის პასპორტები და პორტუგალიას თავი მიანებონ. ამასთან ერთად პორტუგალიის საქმეთა რწმუნებულთ ვენაში ჩააბარეს პასპორტები.

პარიზი, 1 მარტი. მოკავშირეთა მეორე სამხედრო კონფერენცია, რომელზედაც იტყობინებოდნენ, რომიდან მინისტრ პრეზიდენტ ბრიანის დაბრუნებისას, რომ იგი უნდა იყოს წინამორბედი დიპლომატიური კონფერენციისა, განაგრძობდა თავის მუშაობას კვირას და ორშაბათს. როგორადაც ქრისტეშობისთვეს კონფერენციაზე რუსეთის და იტალიის წარმომადგენლებათ იყვნენ ჟილინსკი და პირრო, სერბეთმა ოფიციალურ წარმომადგენელის მაგიერ, რომელიც მონაწილეობდა პირველ კონფერენციაზე, პოლკოვნიკ სტეფანოვიჩისა, გაგზავნა სპეციალი დელეგატი პოლკოვნიკი პაშიჩი, ინგლისმა—სერ დუგლას-ხეგ, ფელდმარშალ დჟონ-ფრენჩის მოადგილე და უმფროსი გენერალურ შტაბისა გენერალი რობერტსონი. ბელგიამ გენერ. ვიელმანსი.

„ჟურნალ“-ი ამის შესახებ ამბობს: „თუ რომ გერმანელებს ვერდენის ბრძოლით სურდათ მეორე სამხედრო კონფერენცია ჩაეშალათ, მაშინ მათ მიზანს ვერ მიაღწიეს. ჩვენ შეგვიძლიან მშვიდათ ვიყოთ, რომ მეორე სამხედრო კონფერენცია ხელმძღვანელობდა შემდეგით: თავიანთ ძრახვას არ უღალატონ. გეგმის განხორციელება ყველგან სისრულეში მოგვყავს, შეიძლება დაგვიანდეს, მაგრამ სულთმოთმეობა დაგვასაჩუქრებს“.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვერდენის ციხე.

„L' Indèpendance Koumadne“-ი სწერს ვერდენის ციხის ისტორიულს მნიშვნელობას. ჯერჯერობითაო,—ამბობს ხსენებული გაზეთი—ვიცით ის, რომ ამ ციხეს 17 ფორტი აქვს. ომის დაწყებამდე ვერდენი მეორე ხარისხოვან ციხედ ითვლებოდა, მაგრამ იმის და მიხედვით თუ რამდენად ვითარდებოდა ომი, ამ ციხესაც ემატებოდა მნიშვნელობა. იგი ფრანგთა ჯარების უმთავრეს დამცველად გამოდიოდა. ამ ციხის გარშემო შეუწყვეტელმა მუშაობამ მალე იგი გარდაჰქმნა ვრცელ და ფართო გამაგრებულ ბანაკად, რომლის ძალსაც ეხლა შეეტაკნენ გერმანელები. ჩრდილო-დასავლეთით შემოტევის დროს გერმანელებმა მოსჰეს უდიდესი ფორტი დუომონი, რომელიც ციხის ფორტთა შორის უკანასკნელ ნეიტრალად ითვლებოდა. ამავე მიმართულებით სოლსავით გვხვდება მეორე ძალოვანი ფორტი ვო. ამ ორი ფორტის მნიშვნელობის შესახებ ეხლაც დიდი კამათია ფრანგ და გერმანელ სტრატეგთა შორის.

ვერდენი მარტო დღეს არა ჰხედავს პირველად თვის მტრებს თავის ბურჯების წინ. გერმანელთაგან სტუმრობა და მათი მასპინძლობა დიდი ხანია ცნობილია. 1792 წ. ბრუნშვეის ჰერცოგი სცდილობდა მის აღებას. ამ მიზნით პრუსიის მეფესთან მოვიდა ქალთა დეპუტაცია, რომელმაც ყვავილები მისთავაზა და სთხოვა ქალაქი ეხსნა აოხრებისაგან. მაგრამ შემდეგ წელს ფრანგმა რევოლიუციონერებმა

აიღეს ქალაქი და ქალთა დეპუტაციის ყოფილ წევრებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, რაიც დაუყოვნებლივ სისრულეში მოყვანილ იქმნა. აი აქედან შესდგა ლეგენდა „ვერდენის ქალწულთა“ შესახებ.

1870 წ. ვერდენის ალყა ერთი ბრწყინვალე ეპიზოდთაგანია ფრანგ-გერმანელთა ამ წლის ომში. გარნიზონი დიდის თავგამოდებით იცავდა ციხეს. 24 მარიობისთვეს 1870 წ. გერმანელები შეეცადნენ ამ ციხის აღებას, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. ციხის ბურჯებთან მათ 800 კაცი დასტოვეს. მაშინ პრუსიელთა არტილერიამ პირველად დაუშინა ციხეს. იმ ხნისთვის ეს სროლა ჯერ გაუგონარი იყო, უმაგალითო, ვინაიდან ციხეს 2 ათასი ყუმბარა მოახვედრეს.

13—15 ოქტომბერს გერმანელებმა ხელახლად მიიტანეს იერიში ვერდენზე, რამაც 56 საათს გასტანა. ციხის გარნიზონი შესდგებოდა 4 ათასი კაცისაგან, აქედან 163 აფიცერი იყო. ფრანგებს ამ იერიშის დროს დაეკარგათ 200 კაცი, გერმანელთ კი—1,700 კაცი. გერმანელთ ძვირად დაუჯდათ ამ ციხის ხელში ჩაგდება ჯერ მაშინ და რა იქნება ეხლა, ამასაც ნათლად წარმოვიდგენთ, თუ ბეჯითად ვადევნებთ თვალყურს ბრძოლის ველიდან მოსულ ამბებს.

გერმანელები და შვეიცარია

ბაზელში არსებობს გერმანელ-შვეიცარელთა საზოგადოება, რომელიც ლექციებით, თუ სხვა რამ საშუალებით აღვივებს შვეიცარიელთა თანაგრძნობას გერმანელთა სასარგებლოდ. ახლა ციურიხში დაარსებულა საზოგადოება სახელად „Stimmen und Sturm“ რომელსაც მფარველობას უწევს თვით გერმანელთა საელჩო. შვეიცარიელთა ეს ჯგუფი ულტრა-გერმანოფილებიდან შესდგება, ჰბეჭდავს პამფლეტებს პამფლეტებზე ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა წინააღმდეგ საზოგადო სათაურით „გერმანეთის შვეიცარელთა ხმა ქარიშხალის დროს“. ამ ბოლოდროს გამოსცეს წიგნაკი „ბელგეთი და შვეიცარელთა ნეიტრალიტეტი“, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „ბელგეთმა სასჯელი დაიმსახურა. ბელგელნი ღირსნი არ იყვნენ ნეიტრალიტეტისა და მიტომაც გერმანეთმა აღიმაღლა ხმა მათს წინააღმდეგ. ბელგეთის ხალხი, როგორც ასეთი, არასოდეს არ არსებობდა, იგი ხელოვნურად შექმნეს. თვით სახელწოდება „ბელგები“ გამოსჭრეს 1830 წ. ათიოდე დიპლომატმა, რომელნიც მწვანე მაგიდას შემოსხდომოდნენო“. სხვათა შორის, ამ წიგნაკში ბელგეთის განადგურება სრულიად ნორმალურად მიაჩნიათ.

წყალქვეშა ნავების მოქმედება.

ჟურნალ „Land and Water“-ში არტურ პოლენი სქემატიურ ანგარიშს ადგენს თუ ოთხი თვის განმავლობაში რა ზარალი მიაყენა მოკავშირეებს გერმანელთა წყალქვეშა ნავებმა. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ გასულ წელს ოქტომბერში ამ ნავებით გერმანელებს დაუღუპიათ 21 გემი, აქედან 5 გემი დაუღუპიათ ხმელთაშუა ზღვაში. ნოემბერში დაუღუპიათ 53 გემი, აქედან ხმელთაშუა ზღვაში 25 გემია დაღუპული. დეკემბერში დაუღუპნიათ 43 გემი, აქედან ხმელთაშუა ზღვაზე—17 გემი მოდის, ხოლო იანვარში 25 გემის დაღუპვა მოუსწვრიათ, აქედან ხმელთაშუა ზღვაზე 7 გემი მოდის. ეროვნებათა მიხედვით ყველაზე მეტი ინგლისელებისაა დაღუპული. პოლენი სცდილობს გაიგოს მიზეზები, რატომ მოხდა, რომ ნოემბერში ყველაზე მეტი დაჰღუპესო, მაგრამ სწორი პასუხი ვერ უპოვნია. მისი ანგარიშით უნდა მოველოდეთ, რომ ახლო მომავალში გერმანელთა წყალქვეშა ნავებით თარეშობას გააფართოვებენ, რადგანაც უკვე ბრძანება აქვთ გაუფრთხილებლივ ყოველი წინ შემოხვედრილი გემი. დაჰღუპონო.

ნაღმები ჩრდილოეთ ზღვაში.

ჰოლანდიურ გაზეთებში აწერილია თუ როგორ ჰქსელავენ ზღვებს ორთავე მხარე ნაღმებით. მარტო ერთი ბეწვა სანაპიროები ჰოლანდიისა დაქსელილია 680 ნაღმით, ახლა რაც მოწყვეტილია და დასცურავენ ის სულ სხვაა და მათი გამოანგარიშებაც ძნელი საქმეა. რა იქნება ახლა ჩრდილოეთ ზღვაში, ეს იქიდანაც სჩანს, რომ აქ გემები გამოსვლას ვერ ჰბედავენ, ვერც სამხედრო და ვერც სავაჭრო. მიტომაც აქ ნაკლები მსხვერპლი იყოო.

მაქსიმილიანე გარდენი

მაქსიმილიანე გარდენი, ცნობილი გერმანელი პამფლეტისტი ცხარე რეფერატებს კითხულობს და პამფლეტს პამფლეტებზე სწერს. სხვათა შორის ბოლო დროს აუარებელ აუდიტორიის წინაშე წაუკითხნია რეფერატი თუ გერმანეთმა რატომ უნდა განაგრძოს ომი: მიზეზი პირველი:—„გერმანეთზე ამბობენ ხანგრძლივად ემზადებოდენო. ეს მართალი არ არის, თუ გერმანელთ წილად ხვდათ მთელი რიგი გამარჯვებისა, არა იმიტომ, რომ დიდხანს ომისთვის ემზადებოდნენ, არამედ იმიტომ, რომ გერმანელთ ძალღონე და ნიჭი გვაქვს ყველა გარემოებას შევეწყოთ შესაფერისათ. ამბობენ, გერმანეთი გამოფიტა, აღარა შეუძლიან რაო. ეს მხოლოდ ქარაფშუტა ხალხის ოცნებაა და მეტი არაფერი. ჩვენ გვწამებენ ბარბაროსობას, მაგრამ ავიწყდებათ, თუ რამ უმზგავსი ხდება, ისევ იმიტომ, რომ ომი გათავდეს. თუ ჩვენს მტრებს ჰგონიათ მოვსპობენ, ან ამისი სურვილი აქვსთ, დაე უწყოდნენ ყველამ, რომ გერმანეთი მხოლოდ ეხლა აღიმაღლებს ხმას და ომიც სწორედ ახლა დაიწყებაო“.

ავსტრია უნგრეთი და მთაშავეთი

მთაშავეთის დაპყრობის დროს დიდი მითქმა მოთქმა ატყდა, მათ შორის ზავის ჩამოგდების თაობაზე. ეხლა გაზეთებმა გამოამჟღავნეს მეფე ნიკოლოზისა და ფრანც-იოსების დეპეშით მოლაპარაკება. **მეფე ნიკოლოზს 31 დეკემბრის თარიღით ფრანც-იოსებისთვის მიუწერია:**

„თქვენო უდიდებულესობავ. მას მერე რაც თქვენმა ჯარმა დღეს ჩემი სატახტო ქალაქი დაიჭირა, მთაშავეთის მთავრობა იძულებულია მიჰმართოს თქვენს იმპერატორებას და გთხოვოთ ზავზე მოლაპარაკების დაწყება, სამხედრო მოქმედების შეჩერებასთან ერთად. რადგანაც ბედგაღიმებულ გამარჯვებულის მოთხოვნილება შესაძლებელია მეტად სამძიმო აღმოჩნდეს, გთხოვთ ხელი შეუწყოთ ისეთ საპატიო ზავის პირობებს, რომელიც საპატიო და ღირსეული იქნება იმ ერისათვის, რომელიც წინად თქვენი უმაღლესობის კეთილის სურვილებით, პატივისცემით და თანაგრძნობით სარგებლობდა. ვიმედოვნებ, თქვენი კეთილშობილი და რაინდული სული არ დაამცირებს იმ ერს, რომელსაც ეს არ დაუმსახურებია“.

ამის პასუხად ფრანც იოსებს მიუწერია დეპეშით 1 იანვრის თარიღით.

„დიდი კმაყოფილება მაგრძნობინა, რომ თქვენი უდიდებულესობა მზად არის უნაყოფო წინააღმდეგობაზე ხელი აიღოს. სამხედრო მოქმედების შესაჩერებლად პირობები უკვე ვაცნობე თქვენ უმაღლესობას დღეს ჩემი ჯარის მთავარ-სარდლის პირით, მთაშავეთის მთავრობას წინადადებისთანავე ჩემი მთავრობა საერთო პასუხს გაახლებთ. ფრანც-იოსები.

ამავე დროს ფრანც-იოსებს მთაშავეთის მინისტრ-პრეზიდენტს ლაზარე მიუშკოვიჩს დეპეშით გადაუცია ბარონ ბურიანისათვის ვენაში:

„მთაშავეთის სამეფოს მთავრობა სთხოვს ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობას მთაშავეთთან ზავის შეკვრას. იგი სთხოვს აგრეთვე დანიშნოს თავისი დელეგატები, ადგილი, დღე და საათი მათი შეხვედრისა მთაშავეთის დელეგატებთან. ამასთანავე სთხოვს, ეხლავე შეაჩერონ სამხედრო მოქმედება და საამისოდ დანიშნონ დღე და საათი. მთაშავეთის მთავრობა აგრეთვე ითხოვს, რომ იმპერატორის პასუხის მოლოდინში მთაშავეთის მოციქულებს მაირს ლუკოვიჩს და ობერლეიტენანტს პოპოვიჩს ნება დართოს ავსტრია-ჰუნგრეთის ბანაკში მოუცადონ“.

ამ საბუთის ქაღალდს ადასტურებენ: მთაშავეთის იუსტიციის მინისტრი რადულოვიჩი, შინაგან საქმეთა მინისტრი პოპოვიჩი, სამხედრო მინისტრი ბეჟევიჩი.

ამ საბუთების სინამდვილეს ადასტურებს ბატონიშვილი მირკო და მინისტრები რადულოვიჩი, პოპოვიჩი და ბეჟევიჩი.

ეს საბუთები ინახება Ballplatr“-ის არქივში.

პორტუგალია.

„ალჰემეინ-ცაიტუნგ“-ი სწერს: 14 თებერვალს პორტუგალიის მთავრობას გერმანეთის მოთხოვნილებანი გადასცეს დატყვევებულ გემების განთავისუფლებაზე. პორტუგალიის მთავრობამ 20 თებერვალს ლისაბონში მყოფ გერმანელთა დესპანს გადასცა პასუხი და მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა. დესპანმა გერმანეთის მთავრობის სახელით ომი გამოუცხადა პორტუგალიას.

უკანასკნელი ფოსტა

ვერდენთან.

პარიზიდან მიღებულის ცნობებით გერმანელები მესამედ შეუდგნენ ვერდენის წინააღმდეგ მოქმედებას. მაასის მარცხენა ნაპირებიდან განუწყვეტლივ მოჰყავთ მაშველი ჯარი.

იტალიის ასპარეზი.

გერმანულ გაზეთების სიტყვით იტალიელებს მთელი ბრძოლის ხაზზე განუახლებიათ შეტევა, რომელიც გადამწყვეტ ბრძოლად გადაიქცევაო. იერიშებს წინ უძღვის ზარბაზნების საშინელი სროლა. ბრძოლაა იზონცოსა, კარინტიასა და ტიროლში.

რუმინეთში.

„დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება: ბრატიანუმ ავსტრო-უნგრეთ-გერმანეთის წარმომადგენლები სადარბაზოდ მიიღო და დაარწმუნა, რომ რუმინეთი ნეიტრალობას არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევსო.

ბრძოლის ველზე

შედარებით ვერდენთან ბრძოლის მესამე პერიოდი ჩქარა დაიწყო. როგორც დღევანდელ ოფიციალ ცნობიდანა სჩანს ბრძოლა ორმაგი სიმკაცრით განუახლებიათ. სჩანს, ამ ხანის შესვენების დროს გერმანელთ მძიმე ზარბაზნებიც წამოუწევიათ წინ, ვინაიდან ჰავასის დეპეშათა სააგენტომ უკვე ახსენა მათი საზარელი ახმაურება. ამ ხანად ბრძოლის მთავარი ასპარეზი დუომონ-ვოს სექტორი კი არ არის, როგორც ეს მოხდა პირველ ბრძოლის პერიოდში, არამედ მაასის დასავლეთი ფრონტი. ამნაირად, სცდებოდნენ სტრატეგნი, როდესაც შუბლით ბრძოლას დუომონთან მთავარ ბრძოლის ასპარეზად ასახელებდნენ, საიდანაც ვერდენს მუქარის მუშტს ულერებდნენ.

მაასის დასავლეთი ფრონტი, სადაც ახმაურდა გერმანელთა დიდი ყალიბის ზარბაზნები, შედარებით არ არის ფართო, იგი გაჭიმულია ბეტანკურისა ტკიუმერის შუა. მთავარ ბრძოლის დასაფარავად გერმანელები ვო-დუომონის რაიონშიაც და კერძოდ ეიქსის სექტორშიაც უტევენ, მაგრამ ყველა ეს დემონსტრაციებია. ნამდვილად კი მთელი ოპერაციის განვითარების ლოღიკა სულ იმას გვიკარნახებს, რომ ბრძოლა იქით უნდა გადმოხრილიყო, სადაც მომავალში უნდა გვქონდეს მოლოდინი გენერალური ომისა. ბეტანკურისა და კიუმერის შუა შემოჭრა მარტო დემონსტრატიული სახით არ აიხსნება. მთელი ეს სექტორი შეიცავს ძლიერს მაღლობებს, რომელნიც დარაჯად გადაჰყურებენ როგორც ვერდენის ციხე-ბურჯს, ისე შორეულს რეიმსის მიმართულებას. აი ესაა კარი მომავალი დიდი ამბებისა და ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს, რომ გერმანელები დიდს სიფრთხილეს იჩენენ აქ და უმთავრესად აქ უყრიან თავს თავიანთ ჯარებს.

დიდი აწონ-დაწონვის შემდეგ გერმანელებმა რკინის რკალისავით გაჰშალეს მრისხანე ფრონტი რეიმსიდან მოყოლებული სენმიელამდე, სადაც სამს არმიას მოუყრია თავი: რეიმსიდან მდ. ენამდე გენერალი სინემისა, ენიდან ეტენამდე კრონ-პრინცისა, ხოლო ეტენიდან მდ. მოზელამდე შტრანცის არმია. ამ არმიათა შეჯგუფებიდან და ფორჟის კარით დღეს ბეტანკურ-კიუმიერის შუა შემოჭრა იმასა ჰმოწმობს, რომ ახლა აამოქმედდა არა მარტო კრანპრინცის არმია, არამედ მონაწილეობას უნდა იღებდეს თვით ეინემის არმიაც, რომელიც ვერდენის ოპერაციამდე თითქმის პასიურ მაყურებლად გამოდიოდა და არც თუ იმდენი ჯარები ჰყავდა სამოქმედოთ, როგორც ერთი მხრით გენერალ შტრანცს და მეორეთი თვითონ კრონპრინცს. ამნაირად, მაასის მარცხენა ნაპირებზე მოქმედების გაცხოველება, სადაც, როგორც ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი გვატყობინებს, გერმანელთ საუკეთესო ჯარებიც მოუყვანიათ, მხოლოდ იმას ჰმოწმობს, რომ ამ ასპარეზით ხუმრობა არ შეიძლება, ის უკვე მუქარაა არა მარტო ვერდენის ალყის შემოსარტყმელად, არამედ გენერალურ ომისთვის ახალი ასპარეზის გამონახვისა. ფორჟი, ტალუმის მაღლობები, რენევილი, კორბოს ტყე, ბეტანკურ და ბოლოს კიუმერი აი ის მნიშვნელოვანი პოზიციები, სადაც ფრანგები ცოცხალი თავით სცდილობდნენ მტკაველი ნაბიჯიც არ დაეთმოთ მტრისათვის, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო ხოლმე, ვიდრე ამისთვის ძალა შესწევდათ. ყოველთვის ფრთხილი და დინჯი შორსმჭვრეტელი მაიორი მორატი ამ პოზიციების შეფასებაშიც ფხიზლად მსჯელობს, ჭარბ ფერადებს ერიდება, გადაჭრით სიტყვის თქმაზე ძუნწობს, მაგრამ მაინც გვახვედრებს კი, რომ აქ, ამ მხრით უნდა ველოდეთ მომავალ საშინელ ომს, რასაც გერმანეთის მთავარი შტაბი ასე რიგად ჰმალავს და ხშირად ფართო დემონსტრაციებით სხვა და სხვა ადგილზე გარდაფრენს და გვირევს სალი მსჯელობის გზა და კვალსა.

მეორე პირველ ხარისხოვანი ასპარეზი, რა თქმა უნდა, ისევ რიგა-დვინსკია. მაგრამ აქ ორთავე მხარე მხოლოდ ხელის ფათურით დაეძებს და შინჯავს მოწინააღმდეგის ძალ-ღონეს. აქაც დიდი მზადებაა, ეს ის მზადება, რომლის შესახებაც პეტროვმა სთქვა: გაზაფხულის ქუხილის მოლოდინში უნდა ვიყოთო. „გაზაფხულის ქუხილი“ როდის იქნება, არ ვიცით. ნიშნები კი ჯერ ღრუბლების დამძიმებაა. გერმანელებმა თითქმის მტკაველა მიწაზე მობმული ჰაერის ბურთები აუშვეს, მოზიდულია საზღვაო ზარბაზნებიც, რის შესახებაც „რუსკი ინვალიდმა“ მთელი წერილები მოათავსა და საზოგადოებრივი აზრი შეაჩვია მოსალოდნელ საზღვაო ომის ამბვის დაწყებას, ჰმოწმობს იმას, რომ ეს „ქარიშხალიც“ შორს აღარ უნდა იყოს. გველისებურად აშვებული ბურთები გერმანელთ დარაჯობას უწევს და მეორეც აქედან ნიშნებს აძლევენ დადგმულ მძიმე ზარბაზნებს [illegible] და რა ადგილს იმყოფება [illegible] მთავარი [illegible] ზარბაზნები და სხვა. საქმე მხოლოდ ის არის, ვინ დაასწრებს, ვინ ჩაიგდებს ხელში ბრძოლის ინიციატივას. თუ გერმანელები მოემზადნენ, ვიცით, რომ რუსის მხედრობაც არ ნაკლებ მომზადებულია. ცოცხალი ძალა მტკიცე ბურჯსავით ჰყავს და ახლა იარაღიც საკმაოდ მოეპოვება. ახლა რისკი და უნარია საქმე, რასაც, არა გვგონია, აწ უკვე ბრძოლაში გამოწრთობილი რუსის მთავარი შტაბი არ მოერიდოს.

X

თბილისი, 4 მარტი.

რუსეთის სოფლის მეურნეთა ყრილობა ერთგვარ გაუგებრობას ბადებს საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, ვითომც რუსეთი დიდი სამეურნეო ქვეყანა იყოს. ნამდვილად იგი არც სამეურნეო ქვეყანა და არც სამრეწველო, ან უფრო იმდენად მეურნეა, რამდენადაც მრეწველი. თანაბარია მისი ჩამორჩენილობა როგორც პირველ დარგში, ისე მეორეშიც.

ყანების მოსავლიანობის მხრით რუსეთს უჭირავს უკანასკნელი ადგილი. საშუალო რიცხვით დესეტინაზე რუსეთში მოდის ორმოცი ფუთი ხორბლეულობა, მაშინ როდესაც გერმანეთში მაგალითად—200 ფუთი მოდის. და თუ მიუხედავად ამისა, რუსეთს უცხოეთში მაინც გააქვს მრავალი ათი მილიონი ფუთი პური ფქვილი, ეს ჯერ რუსეთის დიდი სივრცის წყალობით ხდება და მერე იმის წყალობით, რომ მის მცხოვრებს საკმაო ლუკმა აკლდება. დღეს მოსავლიანობის წლებშიც, როდესაც მთელი გუბერნიები სიმშილით იხოცებიან, რუსეთი მაინც იმდენივე ფქვილს გაზიდავს უცხოეთში, რამდენიც ჩვეულებრივ მოსავლიან წლებში. [illegible] მთავარი წყარო ხორბლისა, [illegible] ვალის და ვახშის პროცენტების თუ თავის გადახდის [illegible]. დღეს მთელი სოფლის მეურნეობა საშინელ კრიზისში ჩადგა და საგონებელში ჩავარდა როგორც ოფიციალური რუსეთი, ისე ფართო საზოგადოებაც შეინძრა და [illegible] ნიშანწყალი გამოიჩინა რუსეთის სოფლის მეურნეობის, რომელიც ყველაზე უძრავი, უმოქმედო და უდარდელი ელემენტი იყო.

ამ რამოდენიმე დღის წინად პეტროგრადში გაიმართა სრულიად რუსეთის სოფლის მეურნეთა ყრილობა. მოსალოდნელი იყო, რომ დამსწრენი წარმომადგენელნი გარემოებისა და მომენტის შესაფერ სერიოზულ გეგმას და რომ უმთავრესად პრაქტიკულ ღონისძიებას გამოიძებნენ შედეგიანად. მოსალოდნელი იყო რომ ამ პრაქტიკულ საქმიანობაში შესაძლებელი გახდება ორგანიული თანამშრომლობა მთავრობის და მწარმოებელ მეურნეთა შორის და ერთი

იოანე მანგლელი ეპისკოპოსი 1666—1751 წ.

(დასასრული)

მაშინდელს აფორიაქებულს ცხოვრებაში, როცა კავკასია და კერძოდ საქართველო სათარეშო მოედნად ჰქონდათ ოსმალებსა, სპარსებსა და ლეკებსა, უშედეგოდ არა რჩებოდა ასეთი მოწოდება. ჩვენ უკვე შორეულს გილანსა და მაზანდარაშიაც კი ვხედავთ 700 მეტს ოჯახს ქართველთა და სომხებისას გადასახლებულს. დარუბანდი და ტარკუ ხომ სულ აივსო ქართველებით. აი ამ ქართველების კვალს გაჰყვა დაღესტანში სამოღვაწეოდ იოანე მანგლელი და დარუბანდში დასახლდა. არაჩვეულებრივის ენერგიისა და შრომის მოყვარე იოანე მისვლისათანავე სახელდახელოდ აწყობს უბრალო დაწნულ-გალესილ ეკლესიას და მღვდელ მსახურებას ასრულებს. ენერგიით სავსე მღვდელ-მთავარს საშველად ხელს უწვდის მაშინ დაღესტანში მყოფი რუსეთის მხედრობის უმფროსი გენერალი დოლგორუკი, რომლის ნივთიერის დახმარებითაც აშენებს ახალს ქვითკირის ეკლესიას ღვთის მშობლის დაბადების სახელობაზედ. მამა იოანე ცას ეწევა და გაორკეცებულის ენერგიითა და საქმის სიყვარულით განაგრძობს შრომასა და მოღვაწეობს. როცა პირველი ეკლესია დაამთავრა და სასურველად მოაწყო, ეხლა სხვა ახალს ეკლესიის შენებას შეუდგა, რისთვისაც ამოარჩია ზღვის პირად მშვენიერი ადგილი. აქ იოანე მანგლელმა ჩქარა რუსეთისავე მხედრობის დახმარებით ახალი ეკლესია წამოჭიმა წმ. ეკატერინეს სახელობაზედ*).

მისივე მოღვაწეობის ნაშთი უნდა იყვეს დაღესტანში სოფელ დათუნაში კარგად შენახული დღესაც ქვის მომცრო ეკლესია**). ეჭვი არ არის რომ დაუდგომელი მამა იოანე თავის მოღვაწეობის სარბიელს მარტოლა დარუბანდით არ განსაზღვრამდა და დაღესტნის მიყრუებულ მთებშიც შეიტანდა ქრისტიანობის სხივს. ეს მით უმეტეს მოსახერხებელი იყო, რომ კასპიის სანაპიროებზედ უკვე დამკვიდრებული რუსეთის მხედრობაც ხელს შეუწყობდა ამ სამისიონერო მოღვაწეობაში. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ იმ ჟამად ამგვარი მოღვაწეობა არც ისე თავსატეხი და სახიფათო იქნებოდა, როგორც ეხლა, რადგან სარწმუნოებრივი ფანატიზმი ისეთს უკიდურესს ზომამდის არ ახწევდა როგორც ეხლა. ამითი აიხსნება მონათესაობა ქართველის მეფეებისა და მთავრებისა მუსულმანთა ხანებთან და მფლობელებთან. ამიტომ შესაძლებელია ივანე მანგლელიც მოღვაწეობდა სამისიონერო სარბიელზედ დაღესტანში და სოფელ დაფუნასა და სხვაგან შენახული ქრისტიანული ძეგლები იმ დროის ნაშთები უნდა იყვნენ.

ასეთ საქრისტიანო-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში იყო იოანე მანგლელი დაღესტანში და კერძოთ დარუბანდში და მკვიდრად და სამუდამოდ ჰსურდა მოეკიდნა ფეხი, მაგრამ ბედმა აქაც არ დააყენა და კარგა ხნის მოღვაწეობის შემდეგ ისევ სხვაგან, სხვა მხრისაკენ გასტყორცნა.

როგორც ვუწყით პეტრე დიდის მემკვიდრეებმა ვერ ისარგებლეს შენაძენით და კასპიის ის სანაპიროები, რომლებზედაც დიდს იმედებს ამყარებდა პეტრე დიდი თან-და-თან ჩამოეცალა რუსეთს 1736 ტრაქტატის ძალით ხომ სრულიად დაიბანა რუსეთმა ხელი კასპიის სანაპიროებიდამ და სპარსეთში გაძლიერებულ ნადირ შაჰს არამც თუ გილან-მაზანდარა დაუთმო, არამედ დარუბანდი, თარღო, ტარკუც ზედ მიატანა და თავისი ავლა-დიდება ამ ადგილებიდამ ყიზლიარში გადმოიტანა. ლაპარაკი არ უნდა, რომ რუსეთის ამ ადგილებიდამ გამოცლას თან გამოჰყვებოდნენ ის ქართველებიც რომელნიც აქ იყვნენ შეკედლებულნი და რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. იმათაც იქიდგან აიკიდეს გუდანაბადი და ზოგი ყიზლარს, ზოგი აშტარხანს და ზოგიც რუსეთის სხვა ქალაქებს შეეკედლნენ. მიყრუვდა და დაცარიელდა კასპიის სანაპიროები. ივანე მანგლელიც თვალცრემლიანი განშორდა თავისს მრავალ ტანჯვითა და შრომით აგებულს ნაამაგარს მონასტერსა და ეკლესიას დაღესტანში, სადაც სურდა სამუდამო ბინა დაემკვიდრებინა, მაგრამ მწარე ბედი არსად დიდხანს არ აყენებს და მოსვენებას არ აძლევს, როგორც ზღვა უსაჭო ნავს ისე ისვრის საბრალოს მაშინდელი აბობოქრებული და მოუსვენარი ცხოვრება. აშტარხანში მივიდა 1736 წელს დეკემბრის ოცში და სინოდის ბრძანებით მას მიუჩინეს საცხოვრებლად და სამყოფელად აშტარხანის სამების მონასტერი. იოანე მანგლელს თან მოჰყვა დიდძალი სამღვდელოება, არქიმანდრიტები, მღვდლები და მთავარ-დიაკვნები მთელის ოჯახებით და ბარგი-ბარხანით. ამოდენა ხალხის მოთავსება პატარა და ვიწრო მონასტერში შეუძლებელი იყო. ამიტომ იოანე მანგლელი შეუდგა ადგილის ძებნასა და მასზედ საკუთარის მონასტრის აშენებას. ქალაქის განაპირა ადგილას გამოსთხოვა აშტარხანის ეპისკოპოსს საჭირო ადგილი, რომელსაც კიდევ მიუმატა ნასყიდობით შეძენილი მცირე ადგილი და ზედ მშვენიერი ეკლესია წამოსჭიმა და თავისს ამალისათვისაც სახლები და შენობანი მოაწყო. ამგვარად დიდის შრომა-გაჭირვებით აქაც მოაწყო საკუთარი მონასტერი, შემოზღუდ-შემოფარგლა იგი და რათა მკვიდრი ნიადაგი მიეცა მონასტრისათვის, უწ. სინოდს შეატყობინა 1744 წლ. 2 მკათათვის თარიღით მონასტრის აშენების ამბავი და სთხოვა დაემტკიცებინათ და აღიარებინათ იგი მონასტრად. სინოდი ჩვეულებრივ საქმეს აჭიანურებდა. რადგანაც არავითარი ცნობა არა ჰქონდათ ამ ახალის მონასტრის შესახებ, ამიტომ შეეკითხნენ აშტარხანის ეპისკოპოსს და დაწვრილებითი ცნობები მოსთხოვეს. მაგრამ ამ ცნობების მიღების შემდეგაც სინოდმა არა სცნო მოსახერხებლად მისი მონასტრად აღიარება და გაიმართა დაუსრულებელი მიწერ-მოწერა. ვიდრე ეს მიწერ-მოწერა წარმოებდა და სინოდი ყოყმანში იყო ეცნო თუ არა იგი მონასტრად ცეცხლმა უკვე ბოლო მოუღო მას. 1747 წელს აგვისტოში აშტარხანის იმ ნაწილში სადაც მონასტერი იყო საშინელი ცეცხლი გაჩნდა და სხვა მრავალ შენობებთან ერთად მონასტერიც იმსხვერპლა.

ბედკრულმა ქართველმა სამღვდელოებამ ძლივს მიასწრო წიგნებისა, კანკელისა და ზოგიერთ ხატების გადარჩენა. გულხელდაკრეფილი შესცქეროდა მამა იოანე ფერფლად და ნაცრად ქცეულს ეკლესიას, მაგრამ გული კი არ გაუტეხნია და ახალის ეკლესიის აშენების თადარიგს შეუდგა, მით უმეტეს, რომ უწმ. სინოდმა უკვე დააკმაყოფილა მისი თხოვნა და მონასტრად აღიარა მისი ეკლესია. მაგრამ ბედშავს იოანეს როგორც ყოველთვის, აქაც მოულოდნელი დაბრკოლება გადაეღობა წინ. გუბერნატორმა აღარ მისცა ნება ძველს ადგილზე მონასტრის აგებისა რაღაც გაუგებარის მოსაზრებისა გამო და მის მაგიერ სხვა ადგილზე მიუთითა. იოანე მანგლელმა შეურაცხყოფილად და შებღალულად ჩასთვალა თავისი უფლება, მიატოვა სტუმართ-მოძულე აშტარხანი, აიკიდა ხელახლავ თავისი გუდა-ნაბადი და ახალის სამშობლოს ძებნას შეუდგა, ახალის მყუდრო ადგილის ძებნას, სადაც შეეძლებოდა საბოლოოდ დამკვიდრება.

აშტარხანიდან გამომგზავრებულს ახალის სამშობლოს საძებნელად მამა იოანეს ჩქარა ყიზლარში ვხედავთ, სადაც უკვე საკმარისი რიცხვი იყო ქართველებისა. ადგილობრივი ჯვართ-ამაღლების მომცრო მონასტერი ქართველებს ეჭირათ და მას უკვე ქართველი არქიმანდრიტი განაგებდა. თავდაპირველად იოანე მანგლელი აქ დასახლდა და ამასთანავე შეუდგა ადგილის ძებნასა და სხვა თადარიგს ახალის მონასტრის ასაგებად. ამიტომ საჩქაროდ შუამდგომლობა აღძრა უწმ. სინოდის წინაშე, რათა აშტარხანში დამწვარის მონასტრის მაგიერ ნება მიეცა ახალი მონასტრის აგებისა ყიზლარში და საჭირო ადგილიც დაეთმოთ ამისთვის. გარდა ამისა თხოულობდა, რომ მასთან მყოფ ამალის სარჩენად, რომელიც უმეტესად სამღვდელო პირთაგან შესდგებოდა, მიეზმათ საჭირო სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები.

პასუხი იგვიანებდა. მამა იოანე მოთმინებას ჰკარგავდა და ამიტომ განმეორებით ითხოვა სინოდისაგან თავის თხოვნის დაკმაყოფილების დაჩქარება. ბოლოს, როგორც იყო, მოუვიდა არა სანუგეშო პასუხი, რომლითაც სინოდი ნებას არ აძლევდა ახალი მონასტრის აშენებისას და ურჩევდა მოთავსებულიყო უკვე არსებულ ჯვართ-ამაღლების მონასტერში. „ახალი მონასტრის აშენება მრავალს ზედმეტ ხარჯს გამოიწვევს და ამასთანავე საჭიროებასაც არა ვხედავთ ახალი მონასტრის აშენებისას“, უპასუხებდა მოკლედ უწ. სინოდი მამა იოანეს. თუ ვინიცობაა არსებული ჯვართ-ამაღლების მონასტერი [illegible] და მთელს ამალას ვერ დაიტევდა, იოანე მანგლელს შეეძლო მონასტრის გაფართოება ახალი შენობებით და კარ-მიდამოთი. გარდა ამისა სათანადო განკარგულება იყო მიცემული, რათა საჭირო სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები დაეთმოთ მამა იოანეს ამალის სარჩენად და გამოსაკვებად.

ვიდრე ეს მიწერ-მოწერა სწარმოებდა, მამა იოანემ კიდევაც ააშენა მონასტრის [illegible] და დაამზადა ხე-ტყის მასალა მონასტრისათვის, რისთვისაც დიდი ხარჯი გაწევა მოუხდა. რასაკვირველია უფრო ამის შემდეგ უარის მიღე-

---

*) იხ. იოსელიანი, Описаніе древ. гор. Тифлиса.

**) იხ. Грузинскіе церкви въ Дагестанѣ, Алиханова.

მთლიანი სამოქმედო პროგრამა იქნებოდა დასახული. მაგრამ სოფლის მეურნეთა მოუმზადებლობა და მთავრობის შემოქმედებითი უძლურება ვერ გამოდგა ხელსაყრელ ნიადაგად და პირობად ამგვარ მუშაობისათვის. და ამ ყრილობიდან თავ-თავიანთ კუთხეში დაბრუნდებიან სოფლის მეურნენი, უკანასკნელი იმედი დაკარგული, ყველგან და ყველაფერში მოსჩანს უმწიფრობა და მოუმზადებლობა ფართე საქვეყნო ორგანიზაციის მოსაწყობად. ასეა ეკონომიურ დარგში, ასეა სხვა დარგშიც.

ქართული პრესა

„თანამედროვე აზრი“ ეხება ჩვენებურ სოციალ-პოლიტიკურ მიმართულებათ. პირველ წერილში გაზეთი ახასიათებს სოციალისტ-ფედერალისტებს. გაზეთი სწერს:

ფედერალისტების პარტია დიდ ფაცაფუცშია.

მთელი წელია „ეროვნულ სოციალისტთა“ მწერლები ინტერნაციონალის დანგრევას შეჰხარიან. დახე ცხოვრების მწარე დაცინვას! ინტერნაციონალი ძალ-ღონეს იკრეფს და ირაზმება, ხოლო ფედერალისტთა ბანაკი მართლაც ირღვევა და მისი წიაღიდან ახალი, ბურჟუაზიული პარტია იბადება. ჩვენ სახეში გვაქვს ნაციონალ- დემოკრატების მობილიზაცია. ქართველი ბურჟუაზია საკუთარ პარტიას აარსებს და გაზეთ „საქართველო“-ს გარშემო თავს იყრის.

დღეს, როცა პარტიული ჩამოყალიბება ასეთი სწრაფი ნაბიჯით წარმოებს, ურიგო არ იქნება წარსულს თვალი გადავავლოთ და მოვიგონოთ, რომ როგორ უცქეროდენ და აფასებდენ ამ მოვლენას საქართველოში მომქმედი ჯგუფი.

როცა, მე-90-ე წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე მესამე დასი გამოჩნდა, ძველი წრეები თ. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით შეშფოთდენ, ქართველ ხალხს ერთობა სჭირია, ხოლო დასი დაქსაქსვას იწვევსო. ეს ის დრო იყო, როცა ხალხს ბანკებში მოკალათებული ინტელიგენცია და თავად-აზნაურობა წარმოადგენდა. მესამე დასი ჩვენში კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას აღიარებდა. ძველი თაობა მას გადაჭრით უარყოფდა, სად საქართველო და სად კაპიტალიზმიო.

ი. ჭავჭავაძის ბანაკი სასტიკათ დამარცხდა. ჩვენში კაპიტალიზმმა ფეხი მოიდგა და მუშათა მოძრაობა მოღონიერდა. ახლა შეუძლებელი შეიქნა ახალი ძალის მიფუჩეჩება. ამ დროს სამოქმედო ასპარეზზე გამოდის ის ჯგუფი, რომელმაც შემდეგში ფედერალისტების სახელი მიიღო. ამ ჯგუფის მეთაური არჩილ ჯორჯაძე ამჩნევდა, რომ კაპიტალიზმი ვითარდება, თავად-აზნაურობა უპირატესობას კარგავს და მის ადგილს იჭერს ახლად ფეხადგმული ბურჟუაზია. რა გზას უნდა დაადგეს ქართველი ხალხი?

სოციალ-დემოკრატია მუშათა მეთაურათ გამოდის და კლასიურ დროშას აფრიალებს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხალხი დაქსაქსულია კლასებათ და ამიტომაც ის სხვა და სხვა პარტიებში ირაზმება. მესამე დასის გზა ხელსაყრელია ხალხისთვის. მარა მავნებელია ბურჟუაზიისათვის. და აი არ. ჯორჯაძეც ერთობას ქადაგობს და დაქსაქსვის წინააღმდეგ სასტიკათ ილაშქრებს. ქართველი მუშა უნდა დაუპირდაპირდეს არა ქართველ ბურჟუაზიას, არამედ სხვა ერებს; გლეხი და თავადი, ბურჟუა და მუშა, ეპისკოპოსი და მრევლი—ყველა უნდა შეერთდეს, ერთი მილიონი არმია დაირაზმოს „ეროვნული“ იდეალის ანუ როგორც ფედერალისტები ფიქრობენ, ტერიტორიალური ავტონომიის მოსაპოებლად. ასეთი იყო პარიზის „საქართველო“-ს პირვანდელი დროშა.

აქ ფედერალისტები თავის კალაპოტში იმყოფებიან და ზომიერი ჯგუფების იტერესებს იცავენ. გავიდა ხანი. რუსეთში განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იფეთქა. მისი მოძრაობა სოციალისტურმა პარტიებმა იკისრეს. ამიტომაც ყველა სოციალისტის სამოსელში ეხვევა. ძველის „საქართველო“-ს ჯგუფი ავტონომიის მოპოებაზე ოცნებობს. და აი მან თვალი სოციალისტურ ბანაკს მიაპყრო და თვითონაც სოციალისტური იარლიკი მიიკრა. ეს უბრალო რეკლამაა, გულუბრყვილოთა თვალასახვევი „ეტიკეტია“, როგორც ბაქოში ერთ-ერთ კრებაზე ზედმიწევნით სწორათ დაახასიათეს.

მუშათა კლასს ეს რეკლამა ვერ მიიზიდავდა. ის საკმაოდ გათვითცნობიერებულია, რომ ასეთმა საკენკმა მიიტყუოს. და აი ფედერალისტური პარტიაც ბურჟუაზიულ-თავად-აზნაურული წრეებით აივსო. ის არსებითად ბურჟუაზიული ჯგუფია, მარა იძულებულია დრო გამოშვებით სოციალისტური ფრაზეოლოგიაც მოიშველიოს და თითოოროლა გულუბრყვილოთა მოსამხრობათ „სოციალისტურ“ სამოსელში მოგვევლინოს. აი სათავე ამ პარტიის უძლურებისა. მისი ლიდერები მოკალათებული არიან სხვა და სხვა ბანკებსა და სამრეწველო დაწესებულებებში და მიმდევრებს თბილ ადგილებსა და სტიპენდიებს უთავაზებენ. „სოციალისტური“ იარლიკი მას მუშათა მეგობრობას ავალებს, ხოლო ბანკებისა და სამრეწველო დაწესებულებათა მეთაურობა ბურჟუაზიის სამსახურს და მუშათა წინააღმდეგ დარაზმვას. მუშების დამცველი“ ჯგუფი ხშირად შტრეიკბეხერთა მოსარჩლედ გამოდის. ამიტომაც არის, ფედერალისტების პარტია მუდმივ რყევას განიცდის. მისი სოციალიზმი არავის სჯერა. აბა ვინ დაიჯერებს კიტა აბაშიძეებისა და კომპ. სოციალისტობას? მაგრამ ფედერალისტები ვერც ბურჟუაზიის საქმეთა მოსაჭახრაკებლად გამოდგებიან. ბურჟუაზია გარკვეულ გზასა და საქმიანობას მოითხოვს. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ბურჟუაზიული წრეების უკმაყოფილება ფედერალისტების წინააღმდეგ.

და აი მათ გამოეყო მთავარი რაზმი, დაიარსა თავისი გაზეთი „საქართველო“ და ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში ირაზმება. არჩ. ჯორჯაძის ხუხულა დაინგრა.

რას წარმოადგენს ახალი ჯგუფი? რა ცვლილებას შეიტანს ის ქართველი ერის ცხოვრებაში? ამაზე შემდეგ.

⁂

გაზეთი **„სამშობლო“** ჩვენი მიმართულებების გაერთიანების საკითხს ეხება და თან აღნიშნავს იმ მეტად ახირებულ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებენ „საქართველო“—„სამშობლოს“ გარშემო მომქმედ მიმართულების წინააღმედგ სოციალისტ-ფედერალისტ „მემარჯვენე თუ მემარცხენე“ ორგანოები; „სამშობლო“ სწერს:

„ეროვნულ-დემოკრატიული“ მიმართულების გაძლიერებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ძილი დაუფრთხო და მოსვენებას არ აძლევს, ჩვენი ცხოვრების უკუღმართ ვითარების ნიადაგზე წარმოშობილ, ეგრეთ წოდებულ, სოციალისტ ფედერალისტურ მოძღვრების მიმდევართ“.

აღსანიშნავი აქ ის არის, რომ მაშინ, როდესაც ჩვენებური ნამდვილი სოციალისტები, მარქსისტები, რომლებმაც ყველაზე ადრეააფრიალეს საქართველოში სოციალისტური დროშა და მისი დაცვისათვის თავსაც კი არ იზოგავდენ, მოსაწონი სიდინჯითა და სრული სულიერი სიმშვიდით შეხვდენ ამ ახალი საზოგადოებრივი ჯგუფის—ეროვნულ-დემოკრატების—გამოსვლას და საჯაროთ აღიარეს მისი საქვეყნო მნიშვნელობა და დიდი საზოგადოებრივი როლის შესრულებაც კი მიაკუთნეს მას; ამავე დროს სოციალცსტ-ფედერალისტებში, რომელთაგანაც ჩვენ უფრო მეტს მოთმინებასა და თანაგრძნობას მოველოდით, ეროვნულ-დემოკრატებისაგან გადადგმული ყოველივე ნაბიჯი დიდ აღშფოთებასა და სიძულვილსაც კი იწვევს მათში.

ამის შემდეგ „სამშობლო“ უპასუხებს სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანოს „მეგობარს“, რომელსაც ამას წინად, თუმცა მისთვის არავის წინადადებით არ მიუმართავს, ჩვენისთანა „უპროგრამო“ და „გამოურკვეველ“ მიმართულებასთან რაიმე შეთანხმება შეუძლებლათ უცვნია და დასძენს:

ჩვენ რომ მართლაც გამორკვეულ გზას არ ვადგეთ და თქვენ რომ ჩვენს მიმართულებას არ იცნობდეთ, არც ამდენს დავიდარაბას და ალი აქოთს ატეხდით ჩვენს გარშემო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენმა სოც. ფედერალისტებმა ძლიერ კარგათ იციან და გრძნობენ კიდეც, თუ ვინ უფრო რეალურ ნიადაგზე სდგას, ან ვისი პროგრამა უფრო შეეფერება ჩვენი ცხოვრების რეალობას და სწორეთ ესაა მიზეზი მათი გამოლაშქრებისა ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფის წინააღმდეგ და არ ერიდებიან არავითარ საშუალებას მათ გასაწბილებლად და დასამცირებლად.

დეპეშები

(„საქართველო“ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

გერმანელებმა არტუადან ვერდენთან გვარდია გადმოიყვანეს.

—

ტრაპიზონში მივიდა სამასი გერმანელი აფიცერი ოსმალეთის ჯარის სარეორგანიზაციოდ.

გ. ვ.

—

მას მერე, რაც ბულგარელებმა გერმანელებს ნება დართეს ვარნაში შესვლისა, გერმანელების ჯარი დაბინავდა ვარნაში, ბულგარელების ჯარი კი სტამბოლისაკენ გაისტუმრეს.

—

რუსეთის ასპარეზზე გაცხარებული ბრძოლაა მდ. დვინის ნაპირებზე, პრიპიატის და რენისის სამხრეთით, რუმინეთის საზღვრებამდე.

ახალი ამბავი

◆ **კარლო ჩხეიძე** იმდენად მომჯობინებულა, რომ ერთი კვირის განმავლობაში ლოგინიდან ადგება. ექიმებს ურჩევიათ მისთვის, რომ უთუოდ სამხრეთისკენ წამოვიდეს. როგორც ამბობენ, სამი კვირის შემდეგ ბ-ნი ჩხეიძე თბილისში ჩამოვა.

◆ **მ. ზ. ყიფიანის ხსოვნა.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ გუშინ, 2 მარტს, შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო კავკავიდან: ჩრდილო კავკასიის ეროვნებათა შორის ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრნი დღევსწარით ქართველებთან ერთად პანაშვიდს, რომელიც გადახდილ იქმნა დღეს მიხეილ ზაალის ძის ყიფიანის მოსახსენებლად მისი გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო. მიხეილ ზაალის ძე პირველი თავმჯდომარე იყო ჩვენი საზოგადოებისა, საქართველოს ერთი ღირსეულ შვილთაგანი და საუკეთესო იდეისათვის მამაცი მებრძოლი.

◆ **წერა-კითხვის** საზოგადოების მთავარი გამგეობა დიდის თანაგრძნობით მიეგება გუდაუთის განყოფილების განზრახვას სკოლის დაარსების შესახებ გუდაუთში, მაგრამ საჭიროდ დაინახა ადგილობრივ გამოკვლეულ და გათვალისწინებულ იქმნას სკოლის შენახვის პირობები. ამ პირობების გამორკვევა მიენდო სკოლების მეთვალყურეს გრიგოლ ბურჭულაძეს, რომელმაც თავისი მოხსენება აღნიშნულ საგნის შესახებ მიმდინარე მარტის გასვლამდე უნდა წარუდგინოს გამგეობას.

◆ **ბოტანიკური ბაღი** თებერვლის განმავლობაში დაუთვალიერებია 1000 კაცს ხოლო 1 იანვრიდან 4000 კაცს.

◆ **დაუმუშავებელ ტყავეულობის გაზიდვა.** კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარმა უფროსმა გენ.-ლეიტ. ვოლსკიმ ბრძანება გამოსცა ტყავეულობის გაზიდვის შესახებ. თვის ბრძანებაში გენ.-ლ. ვოლსკი სწერს: 1. ტყავეულობის საქონლის დასამუშავებლად საჭიროა ძლიერ ბევრი დაუმუშავებელი ტყავი. რადგან იყო შემთხვევები როცა ეს მასალა კერძო პირთ გაჰქონდათ. ამიტომ აკრძალულია ყოველგვარ დაუმუშავებელ ტყავეულობის გაზიდვა კავკასიის სამხედრო ოლქის გარედ. ყოველ ასეთ შემთხვევაში, ვისაც გატანა ჰსურს ამ საქონლისა სამხედრო ოლქიდან პირადად მე უნდა მომმართოს. დამნაშავეთ 3000 მანათი ჯარიმა ან 3 თვე ციხე მოელით.

◆ **აზრუმის გმირ** ინფანტერ.-გენერალ ნ. . იუდენიჩთან სადარბაზოდ ბრძანდებოდა დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** საჯარო სხდომა გაიმართება შაბათს, მარტის 5-ს, საღამოს სრულ 8 საათზე, ექიმთა საზოგადოების დარბაზში (პუშკინის ბიბლიოთეკის თავზე). ბ-ნი პეტრე მირიანიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ილია და აკაკი ნუ თუ მართლა მდაბიო[illegible]ქმედნი იყვნენ“? მოხსენების შემდეგ—კამათი.

◆ **ტყვეები.** 29 თებერვლიდან—1 მარტამდე სარაყამიშ-ბაქოს გზით გაატარეს 1600 ტყვე.

◆ **მიწად-მოქმედების** დეპარტამენტმა 12 ათასი მანეთი გამოუგზავნა თავის რწმუნებულს თბილისში სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციების დასახმარებლად. ხორბლის საწმენდ და საცდელ მინდვრების მოწყობის საქმეში.

◆ **მეფის ნაცვალს** სადარბაზოდ წარუდგა ერევნის ვიცე-გუბერნატორი პანჩულიძე, რომელიც შემდეგ მიწვეულ იქმნა დიდ მთავრის მიერ საუზმეზე.

◆ **„ქიქა ჩაის“** საზოგადოების გამგეობას (გოლოვინის პრ.) 1 თებერვლიდან 1 მარტამდე შემოსავალი ჰქონია 3894 მან. 88 კაპ. ყულაბებიდან 70 მ. 18 კ. გასავალი 2797 მ. 08 კ. წმინდა მოგება დარჩენია 1167 მ. 98 კ.

◆ **ავანსი.** ქალაქთა კავშირის $1\frac{1}{2}$ მილიონი მანეთი მიეცა ავანსად თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

◆ **კავშირის წევრთა კრება.** 12 აპრილს გაიმართება ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირის წევრთა კრება. ასარჩევია გამგეობა და სხვა თანამდებობის პირნი.

◆ **ახალი სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.** გუბერნატორმა დაამტკიცა წესდება ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა.

◆ **შემოიტანეს** თბილისში 2 მარ. ფქვილი 2 ვაგ., ქერი 8 ვაგ., ღვინო 4 ვაგ. კარტოფილი 1 ვაგ., კომბოსტო 1 ვაგ., მარილი 4 ვაგ., შეშა 34 ვაგ., ნავთი 6 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 19 ვაგ.

აჭარლების დეპუტაცია

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლები რეჯიბ ეფენდი, თემურ ბეგ ხიმშიაშვილის და მოლა ისკანდერ ეფენდი ცივაძის მეთაურობით. დეპუტაცია წარუდგა მის იმპ. უმაღლესობას მეფის მოადგილეს და ესაუბრა ქართველ მაჰმადიანთა საჭიროებაზედ.

დეპუტაციამ მიმართა სიტყვით მის უმაღლესობას და მისის ნებართვით წარუდგინა ოთხი სათხოვარი:

1) ნება მიეცეს სამშობლოში დაბრუნებისა ყველა იმ ქართველ მაჰმადიანთ, რომლებიც სათათრეთში არიან ძალით გადახვეწილნი.

2) განსაკუთრებული მოწყალებით მოექცნენ იმათ, ვინც ადმინისტრატიული წესით არიან გადასახლებულნი.

3) განსაკუთრებული მოწყალებით მოექცნენ იმათ, ვინც სამართალში არიან მიცემულნი ეხლა, ან და სასჯელი აქვთ მისჯილნი.

მოლა ისკანდერ ეფენდი ცივაძემ მეტად გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დაახასიათა ქართველების ზრუნვა ქართველ მაჰმადიანთა მიმართ, რისთვისაც დიდი მადლობა განაცხადა ქართველ მაჰმადიანთა სახელით და დასძინა, რომ ეს მუშაობა უნაყოფოდ არ ჩაივლის, რადგან დღეს ორივე მოძმეებს, როგორც მაჰმადიან, ისე ქრისტიან ქართველებს, აერთებს დიდი ეროვნულ-კულტურული იდეა და არას დროს ქართველ მაჰმადიანთა გულში არ ამოიფხვრება ის ძმური გრძნობები, რომელიც დღეს ჩაინერგა. ქართველმა ძმებმა მტკიცედ აღასრულეს დიდი ილიას სიტყვები (აქ მან მიმართა პოეტის სურათს, რომელიც საკრებულოს დარბაზშია)

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის კაცს ის უყვარდეს
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

ბ. თემურ ბეგ ხიმშიაშვილმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „მართალია დიდს გაჭირვებაში ვიმყოფებით, ბევრი დავკარგეთ, მაგრამ გახარებულნი ვართ, რომ ამ გაჭირვებაში ვიცანით ჩვენი ნამდვილი ძმები და დავრწმუნდით მათს ძმურ გრძნობებში.

დიდი ხნის განათლებულნიც რომ ვყოფილიყავით, შეიძლება მაშინაც ვერ შეგვეგნო ისე ძლიერად ეს ჩვენი ძმური განწყობილება. ვერ გადვიხდით იმას რითაც თქვენ დაგვეხმარეთ და ნურც ჩაგაგდოსთ მდგომარეობამ იმ ყოფაში, რომ ჩვენი დახმარება დაგჭირდეთ, მხოლოდ ვისურვებ, რომ ჩვენი განწყობილება განმტკიცებულიყოს და სამუდამოთ დავკავშირებულიყვეთ“.

დეპუტაციას თ-დმა აბხაზმა მიმართა შემდეგი სიტყვით:

სასიამოვნოა თქვენი აქ ნახვა. ის მხარე, საიდგანაც თქვენ მობრძანდით პირველი აკვანი იყო საქართველოსი; იქ იშვა ჩვენი ისტორია და იქიდგან გავითქვით სახელი.

მრავალმა საუკუნემ გაიარა მას შემდეგ და ისტორიის ჩარხის ტრიალს მრავალჯერ მოუწყვეტივართ ჩვენ ერთმანეთს, მაგრამ დღეს ისევე დაგვიბრუნდით. დღეს ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ერთათ ჩავბმულვართ ამ მსოფლიო ომში, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ამ უბედურებამ დიდი ბედნიერება მოგვაყენა მით, რომ დაკარგულმა ძმებმა ერთმანეთი ჰპოვა.

სალამს გიძღვნით, გისურვებთ ამ ერთობის განმტკიცებას და ჩვენს მჭიდრო დაკავშირებას.

ბევრნი ცდილობენ ჩვენი მიწაწყლის ჩაგდებას, მაგრამ მძლავრად შეკავშირებულნი უნდა ვეცადოთ ხელიდან არასფერი არ გაუშვათ.

ჩვენ უნდა დავიბრუნოთ დაკარგული მიწა-წყალი და ძმობა-ერთობაში ვეცადოთ ერთ მშობელ საქართველოსთვის მოღვაწეობას.

სალამი გადაეცით თქვენს შინაურებს და არც ჩვენ დავზოგავთ არასფერს, რომ თქვენ მიერ მოწვდილი ხელი სამუდამოდ დარჩეს ჩვენს ხელში. ვაშა ჩვენს ერთობას!

დეპუტაცია კიდევ ორ დღეს დარჩება თბილისში და ქართველი საზოგადოება აპირებს მათ პატივსაცემლად ნადიმის გადახდას.

ბა მეტად სამწუხარო იყო იოანე მანგლელისათვის. მაგრამ მუდმივ შეუდრეკელი და მხნე იოანე აქაც არ შეშინდა და ფარხმალი არ დაჰყარა, პირიქით უმეტესის მხნეობითა შეუდგა საქმესა, რათა ლელო გაეტანა და მონასტრის აშენებას ღირსებოდა. ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია იოსებ სამებელმა, რომელიც ამ ჟამად იმყოფებოდა და სხვა სასულიერო პირებთან ერთად საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა.

როგორც ვუწყით ვახტანგ მეფესთან ერთად გადასახლებულმა სასულიერო პირებმა ქალ. მოსკოვში მოაწყვეს სტამბა, შეუდგნენ წიგნების ბეჭდვას და შემდეგ მათს გავრცელებას საქართველოში. აი ამ საგანმანათლებლო საქმეს სათავეში უდგა სხვათა შორის იოსებ სამებელი ეპისკოპოსი, რომელსაც დიდს დახმარებას უწევდა იონე მანგლელი. იგი აშტარხანით და ყიზლიარით საქართველოში ეზიდებოდა მოსკოვიდგან გამოგზავნილს წიგნებს და ხელს უწყობდა მათ საქართველოში გავრცელებას. იოანე მანგლელი ის ინსტანცია იყო, რომელსაც ვალად ედგა რუსეთის საზღვრებიდგან საქართველოში მიწოდება იმ მასალისა, რაც მოსკოვში დაიბეჭდებოდა ქართველთა მოღვაწეთაგან.

იოანე მანგლელმაც ამ იოსებ სამებელს მიჰმართა თხოვნით, რათა დახმარება გაეწია ნებართვის აღებაში, ყიზლიარში ქართულის მონასტრის აგებაში. იოსებ სამებელმა, რომელსაც უკვე წინდაწინვე განჰრახული ჰქონდა იოანე მანგლელთან ყიზლიარში დასახლება, მხურვალე მონაწილეობა მიიღო მონასტრის აშენების ნებართვის აღებაში. ამიტომ გაიგო თუ არა იოანე მანგლელისაგან ეს სამწუხარო ამბავი, მაშინვე მიჰმართა უწ. სინოდს და გაახსენა რა მრავალი ღვაწლი და შრომა იოანე მანგლელისა და თავისით ითხოვა რომ საჭიროა ამ სიბერის დროს მაინც ორთავესათვის მყუდრო და მშვიდი საყუდელი, რათა სიამტკბილეში დალიონ უკანასკნელი დღენი თვისნი. ამასთანავე ატყობინებდა, რომ ჯვართ-ამაღლების მონასტერში მოთავსება შეუძლებელიაო, რადგანაც ეკლესია ძალზედ მომცროა და ძველი და შენობათაგან კიდევ გარდა ერთის მცირე სენაკისა, რომელშიაც არქიმანდრიტია მოთავსებული სხვა არ მოიძებნებაო. იოანე მანგლელს აქვს აშენებული სენაკები და სხვა შენობანი თავის ამალისათვის, მათი ეხლა დანგრევა და ჯვართ-ამაღლების ეკლესიასთან გადმოტანა უზომო ხარჯებს გამოიწვევსო, რის გაწევა არ ძალუძს იოანე მანგლელსო. ატყობინებდა რა ყოველივე ამას უწ. სინოდს იოსებ სამებელი დაბეჯითებით მოითხოვდა ნებართვის მიცემას მონასტრის ასაგებად.

ბოლოს როგორც იყო იოანე მანგლელის თხოვნა შეიწყნარა სინოდმა და ნება მისცა: „მათი მეუფების თავგანწირულობა და უმწიკვლო სამსახურისათვის ნება მიეცეს ეკლესიისა, სენაკებისა და სხვა შენობათა აგებისა მოხერხებულს ადგილას, ჯვართ-ამაღლების მონასტრის სიახლოვეს*).

ამგვარად მიუხედავათ მრავალის დაბრკოლებისა იოანე მანგლელის ნატვრა ბოლოს მაინც სასურველად დამთავრდა. ეხლა ორივე ეპისკოპოზს შეეძლოთ როგორც სურდათ მოწყობილიყვნენ ყიზლარში თავისს სურვილისამებრ. მაგრამ განგებამ სულ სხვანაირად განსაჯა. ორთავე მრავალტანჯულსა და მრავალნაჭირნახულევს ეპისკოპოზს არ დასცალდა სისრულეში მოეყვანათ თავისი ზრახვანი და სიამტკბილეში და მყუდრო ცხოვრებაში დაელიათ უკანასკნელი დღენი თავის სიცოცხლესი.

მოსკოვიდგან ყიზლიარისაკენ გამომგზავრებული სასიხარულო ამბით იოსებ სამებელი გზაში ქალ. სარატოვში გარდაიცვალა, საიდგანაც წამოასვენეს და აშტრახანში დაასაფლავეს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში 1750 წ. სექტემბერში. ხოლო იოანე მანგლელმა ამ სამწუხარო ამბის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე თვე ღა იცოცხლა და აღესრულა 28 მარტს 1751 წელს.

მაგრამ ამითი არ დასრულდა იოანე მანგლელის წამებანი, სიკვდილის შემდეგაც კარგა ხანამდის ვერა ჰპოვა მუდმივი სამკვიდრებელი. თავისს ანდერძში იგი ითხოვდა რომ ნეშთი მისი სამშობლოში წაეღოთ და დაეკრძალათ დავით გარეჯელის უდაბნოში, მაგრამ მონასტრის ძმობამ მოახსენა ასტრახანის ეპისკოპოზს, რომ ამ ჟამად უგზობაა, და შიშიანობა და შეუძლებელია ცხედრის წასვენება სამშობლოშიო, რისთვისაც ითხოვდნენ ადგილობრივ მონასტერში დაკრძალვას, რაზედაც ნებართვა მიიღეს. შებღალული ანდერძის ქომაგად გამოვიდა ძმა მისი ნიკოლოზ სააკაძე პორუჩიკი რუსეთის ცხენოსანთა რაზმისა, რომელმაც გამოითხოვა ნებართვა ნეშთის გადმოტანისა სამშობლოში და წამოსვენა საქართველოში, მაგრამ რადგანაც დავით გარეჯელის მონასტერი იმ ჟამად დაცარიელებული იყო რომელშიაც ანდერძის თანახმად უნდა დაეკრძალათ იოანე მანგლელი, ამიტომ დაკრძალული იქმნა სიონის ტაძარში.

ასე აღსრულდა იოანე მანგლელი. მთელი მისი უმწიკვლო ცხოვრება თავდადებული და ჩაუფერხებელი სამსახურია სამშობლოს სამსხვერპლოზედ შეწირული. მისი სამისიონერო მოღვაწეობა ჯერეთ სამშობლოში და შემდეგ დაღესტანში მეტად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო.

მაგრამ მამა იოანე უფრო ცნობილი იყო თავისი უმწიკვლო, წმინდა, სათნოებითა და მოძმეთა სიყვარულით სავსე ცხოვრებით. როგორც კარგი თაფლი ფუტკრებს ისე იზიდავდა და იკრეფდა თავისს ირგვლივ ყველას, მას მიჰმართავდნენ ყველანი მეტადრე უცხოეთში ყოფნის დროს ყოველგვარს გაჭირვებაში და ისიც თავგამოდებით უწევდა დახმარებას ყველას და ყოველგან. ბევრი ცნობებია დარჩენილი მისი სიამტკბილისა და სასწაულმოქმედების შესახებ, მაგრამ ჩვენ ყველას ჩამოთვლით არ მოვაწყენთ მკითხველს, ვიტყვით მხოლოდ რომ თვით მეფე გიორგიმ საქართველოს უკანასკნელმა ბრძანებელმა ორჯელ აახდევინა სიონის ტაძარში დაკრძალული ნეშთი იოანე მანგლელისა, ეამბორა და შესთხოვა ავადმყოფ შვილების განკურნება რაიც აუსრულდა.

ზ. ედილი.

---

*) Указ. св. Синода 1750 წ. 24 აპრ. № 478.

სახელმწიფო საბჭო

1 მარტის სხდომა. თავმჯდომარეობს კულომზინი. კრება შემოსავლის კვალობით გადასახადის პროექტს იხილავს. შემოაქვთ წინადადება, რომ შემთხვევითი შემოსავალი გადასახადიდან განთავისუფლებული იქმნეს. მიღებულ იქმნა აგრეთვე წინადადება, რომ ფასიანი ქაღალდების მოგება გადასახადიდან განთავისუფლდეს. დიდს კამათს იწვევს სათათბიროს დადგენილება, რომ წლის ბოლოს გაუყიდავათ დარჩენილ საქონელზედ, გადასახადი იქმნეს დაწესებული. შესაძლებელია ამ შემთხვევაში მეპატრონეს ფულის სესხებაც დასჭირდეს, რომ გადასახადი გაისტუმროსო. სათათბიროს დადგენილება გამორიცხულ იქმნა.

2 მარტის კრება. თავმჯდომარეობს კულომზინი. საბჭო შემოსავლის კვალობითი გადასახადს იხილავს. 700 მანეთის შემოსავალს დაედება 6—10% გადასახადი. 400 ათასი მან. შემოსავალს 12% გადასახადი დაედება. ფინანსთა მინისტრი ამცნობს საბჭოს რომ ქაღალდის ფული 6 მილიარდ მანეთზედ არის გამოცემული. სამხედრო დღიური ხარჯი უდრის 32 მილიონს და ეს ხარჯები უთუოდ სესხით და ქაღალდის ფულის გამოცემით დაიფარებაო. სამინისტროს მიერ წამოყენებული გადასახადების სქემა ერთხმად მიღებულ იქმნა. მემარჯვენებიც უერთდებიან პროექტს, და ამბობენ: თუმცა ჩვენ პროექტის ნაკლულოვანებებს ნათლად ვხედავთ, მაგრამ მხარს უჭერთ მას რომ ამით მთავრობას რაც შეიძლება მეტი საღსარი მივცეთო. თავად გოლიცინს წინადადება შეაქვს, რომ ბირჟაზედ თამაშით მოპოებულ სიმდიდრეს ორმაგი გადასახადი დაედოს. პროფ. ოზეროვი და ვასილიევი ამას არ ეთანხმებიან. გალიცინის წინადადება უარყოფილ იქმნა.

ჯარში გასაწვევთა საგულისხმოდ

უმაღლესი ბრძანების თანახმად მიმდინარე წელს ჯარში გაიწვევენ იმ ახალგაზრდებს, რომელნიც დაბადებულნი არიან 1897 წელს. გაწვევის დღე ცალკე გამოცხადდება. დანიშნულ დღეს ყველა გაწვეული უნდა გამოცხადდეს სამაზრო სამხედრო უფროსთან იმ ადგილას, სადაც ამ დროს თვითონ ცხოვრობს. თან უნდა ჰქონდეს პასპორტი, ან თავის ვინაობის დამამტკიცებელი რაიმე მოწმობა. აგრედვე უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო ნივთი, ტანისამოსი და ფეხსაცმელი, რადგანაც სახლში აღარ გაუშვებენ და ჯარში ჩარიცხავენ იმ წამსვე, თუ კი შემოწმებულ იქნება მათი ჯანმრთელობა. 1915 წელს გამოცემულ სამხედრო დებულების მე-144 მუხლში აღნიშნულმა პირებმა და აგრედვე მდაბიო მოქალაქეებმა და გლეხებმა რომელთა ბინადრობა და ოჯახების შემადგენლობა მათის წოდების საზოგადოებამ არ იცის, წინადვე უნდა დაამზადონ საბუთები თავიანთ ოჯახურ მდგომარეობის შესახებ და გაწვევის დღეს სამხედრო საკრებულოებს უნდა წარუდგინონ. ოჯახური მდგომარეობა ჯარში გასაწვევთ პირველ ხარისხის შეღავათს ანიჭებს. ასევე უნდა მოიქცნენ ის პირნიც, რომელნიც მტრისგან დაჭერილ ადგილებიდან გამოქცეულან.

ის პირნი, რომელნიც სწავლობენ და 1 მარტამდე წარდგენილი აქვთ შესაფერი მოწმობები სამხედრო საკრებულოებში, დროებით განთავისუფლებულ იქნებიან. ქონებრივ და ოჯახურ მდგომარეობის მიხედვით დროებით არავინ არ განთავისუფლდება. მიეცემათ მხოლოდ პირველ ხარისხის შეღავათი, რაიც გამოიხატება იმაში, რომ ახლად გაწვეულნი მეორე ხარისხოვან მოლაშქრის უფლებებით ჩაირიცხებიან ჯარში და მათ ოჯახებს სასაზინო დახმარება მიეცემათ.

ის პირნი, რომელნიც ამ ჟამად ტფილისის გუბერნიაში სცხოვრობენ, მათ შორის დასავლეთ გუბერნიებიდან შემოხიზნულნიც იმის მიუხედავად იგინი ამ ომიანობის დროს ჯარში გაწვეულნი იყვნენ თუ არა რომელსამე ადგილას,—მოვალენი არიან გამოცხადდნენ სამხედრო სამსახურში 1) 1914, 1915 და 1916 წელს გაწვეულნი, ანუ 1893, 1894 და 1895 წელს დაბადებულნი, მათ შორის ისინიც, ვისაც ოჯახურ მდგომარეობით პირველ ხარისხის შეღავათი აქვთ მიღებული უნდა გამოცხადდნენ უახლოეს სამხედრო საკრებულოებში და 2) 1917 წელს გასაწვევნი ანუ 1896 წელს დაბადებულნი, სათადარიგო ჯარისკაცნი და მოლაშქრენი უნდა გამოცხადდნენ უახლოეს სამხედრო უფროსის სამართველოში. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის პირნი, რომელთაც ანთავისუფლებს თანამდებობა და სწავლა, ან სხვა რამ საბუთით განთავისუფლებულნი არიან და ეს უფლება დღემდე არ დაუკარგავთ.

ის პირნი, რომელნიც სუსტის ჯანმრთელობის მიზეზით, განთავისუფლებულნი არიან სამსახურისაგან, ან რაიმე შეღავათი აქვთ, ჯარის კაცთა გაწვევის საერთო წესიდან სრულიად გამოყოფილნი არ იქნებიან იმ დრომდე, ვიდრე მათის განთავისუფლების დღიდან ორი წელიწადი არ გავა.

საყურადღებო ნაბიჯი

როგორც გაზეთებში ეწერა, თბილისის თავად-აზნაურობას განზრახვა აქვს დაეხმაროს წრეულს გაჭირვებულ მეურნეთ. სხვათა შორის ამ მიზნით განზრახულია ქვემოთ მოყვანილი საანკეტო ფურცლების დაგზავნა. იმედია პროვინციის მეურნენი დიდს ყურადღებას მიანიჭებენ ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეს და ხალისით მიაწოდებენ საანკეტო ფურცელში აღნიშნულ ცნობებს. სხვათა შორის საჭიროა დეპუტატთა საკრებულოს გამოეგზავნოს რაც შეიძლება მეტი ადრესი სოფლის ყველა დარგის მეურნეთა. მეტი ცნობა მეტ ცოდნას მოგვცემს ჩვენი სოფლის საჭიროებათათვის.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულომ გადასწყვიტა რა, მიმდინარე წელს აღმოუჩინოს სოფლის მეურნეთ რაიმე დახმარება, უმორჩილესად გთხოვთ დაუყოვნებლივ დააბრუნოთ ეს საანკეტო ფურცელი შესაფერის ცნობებით.

სახელი.
გვარი
წოდება
გლეხი? მემამულე? მოიჯარე? მამულის გამგე? მასწავლებელი? აგრონომი თუ ვინ ბრძანდებით (დანარჩენი წაშალეთ).
მაზრა
საპოლიციო ნაწილი
სამამასახლისო
სოფელი
თქვენი ცნობები შეეხება მხოლოდ ერთს მეურნეობას თუ რამდენს?
თქვენი მისამართი
თქვენი მეურნეობის დარგი?

I ხვნა-თესვა.

1) რამდენ დღიურსა ხნავთ?
2) წინა წლებში საშუალოთ რამდენ დღიურს ამუშავებდით?
3) ამ დარგში ახალ მანქანებს ხმარობთ თუ არა? თუ ხმარობთ როგორ მანქანას?
4) როდის და რამდენი მუშა დაგჭირდებათ?

II მეხილეობა.

1) რამდენი დღიურია თქვენი ბაღი?
2) ხნავთ თუ ბარავთ თქვენს ბაღს?
3) როდის და რამდენი მუშა დაგჭირდებათ?
4) რამდენი და რაგვარი წამალია თქვენთვის საჭირო?

III მევენახეობა.

1) რამდენი დღიური ვენახი გაქვთ?
2) როდის და რამდენი მუშა დაგჭირდებათ?
3) რამდენი და რა გვარი წამალია თქვენთვის საჭირო?

IV მებოსტნეობა.

1) ჭარხალი რამდენი დღიური ან ჩარექი გითესიათ?
2) კომბოსტო რამდენი დღიური ან ჩარექი.
3) კარტოფილი რამდენი დღიური ან ჩარექი.
4) ლობიო რამდენი დღიური ან ჩარექი.
5) სხვა და სხვა ბოსტნეულობა.
6) ბოსტნეულობისათვის როდის და რამდენი მუშა დაგჭირდებათ წრეულს?

V მუშა ხელი.

1) როგორ ფასობს თქვენს სოფელში დღიური მუშა კაცი მეურნის ხარჯით?
2) როგორ ფასობს თქვენს სოფელში დღიური მუშა ქალი მეურნის ხარჯით?
3) როგორ ფასობს დღიური მუშა კაცი თავის ხარჯით.?
4) როგორ ფასობს დღიური მუშა ქალი თავის ხარჯით.?
5) როგორ ფასობს თქვენში სხვა და სხვა სანარდო სამუშაო.?
ა) დღიურის მოხვნა.
ბ) დღიურის მომკა დაძირვა.
გ) დღიურის გათოხნა.

IV აღნიშნეთ რა არის თქვენთვის საჭირო რათა უზარალოთ დაამთავროთ მიმდინარე სამეურნეო წელიწადი?

1) მუშა ხელი.

1) როდისთვის.
2) რამდენი.
3) მუშისა თუ „ხაზეინის“ ხარჯით?

2) სესხი.

თუ თქვენთვის საჭიროა სესხი აღნიშნეთ:
1) რამდენი გჭირდებათ?
2) რა ვადით?
3) რაზე მეტი სარგებლის გადახდა არ იქნება თქვენთვის ხარჯი?

3) სამეურნეო მანქანები.

1) როდის და რამდენი მანქანა არის თქვენთვის საჭირო?
2) ხომ არა გაქვთ ძველი ან გატეხილი მანქანა, რომლის შეკეთება შეიძლებოდეს, ან თქვენ მეზობელს ხომ არა აქვს?

4) მუშა საქონელი.

1) მუშა საქონელი თუ გაკლიათ რამდენი?

5) კოოპერაცია.

1) რა დახმარება შეუძლიან გაგიწიოთ ადგილობრივმა საკრედიტო ან შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ?

VII კიდევ რა გაქვთ სათქმელი სასოფლო და მეურნეო საჭიროებათა შესახებ.

ქართლის მეურნეთა საყურადღებოდ

არა ერთხელ აღნიშნულა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში, თუ რა აუტანელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ამ ხანად სოფელი. შარშანდელი მოუსავლობა ღვინისა, პურისა და ხილისა, სოფლის დაცარიელება ჯანით სავსე ვაჟკაცებით, აუტანელი სიძვირე ფქვილისა და ხორბლისა (ქართლში არ მოიპოვება ეხლა არც ერთი სოფელი, სადაც პურს არა ყიდულობდნენ). აი მოკლეთ დღევანდელი სოფლის ვითარება. მაგრამ მომავალი უფრო ცუდ ამბებს გვიმზადებს. როგორც ანკეტიურ გამოკვლევამ გვიჩვენა (ჯერ ცნობები მაქვს მარტო 16 სოფლის შესახებ), შარშან შემოდგომაზე 25% ნაკლები დაუთესიათ შედარებით წინა წლებზე, რვა სოფელი (აღაიანი, უფლის-ციხე, ხოვლე, ტყვიავი, დოესი, თორტიზა, კასპი და თეზი) **სრულიად არ მოეპოვებათ** გაზაფხულისთვის სათესლე არც სიმინდი და არც პური და რვა სოფელში კი (ქარელი, რუისი, ქვემოჭალა, ახალქალაქი, მეჯვრის-ხევი, ბობნევი, ხიდისთავი და ატენი) საერთოდ მოიკრიფება სათესლედ 90—100 კოდი სიმინდი, 200 კოდი ქერი და 150—200 კოდი შავ-ფხა. შარშანდელ გაზაფხულთან შედარებით ეხლა ამ რვა სოფელში დაითესება 10—12-ჯერ ნაკლები.

ყველა გაჭირვებასთან ერთად ერთმა არა-სასიამოვნო მოვლენამაც იჩინა თავი ქართლში. აქ მაგრა მოიკიდა ფეხი არყით ლოთობამ, რაც სულით და ხორცით ანადგურებს ისედაც განადგურებულ გლეხის ოჯახს. ყიდულობენ 10—12 მანეთად კოდს სიმინდს და უშიშრათ ხდიან არაყს თითქმის ყველა სოფელში. თუ ხალხი ეხლა მიეჩვია არყით ლოთობას, მერე გადაჩვევა ძნელია. არყის გამოხდას ჩემის აზრით სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს თვით სოფლის შეგნებულმა ნაწილმა.

ყველა გაჭირვებასთან ერთად ჩვენ სოფელს და მეურნეებს სხვანაირი გაჭირვებაც ადგათ. შარშან მომეტებული ნაწილი ხილისა და ვაზის ბაღებისა უწამლოთ დარჩა, რადგან შაბიამანი, გოგირდი და სხვა დროზე ვერ იშოვნეს. ეს მეორე წელიწადია ქართლი მოკლებულია საჭირო სამეურნეო მანქანა იარაღს, ხელოვან პატივსა, თესლეულობას და სხვა, და ჩვენმა მეურნეებმა არც იციან საიდან და რა გზით შეიძინონ. ქართული სამეურნეო საზოგადოება სიშორის გამო ამ მხარეს მოწყვეტილია, აქ მყოფი აგრონომ-ინსტრუქტორები ცალ-ცალკე მუშაობენ და ვერც გასწვდებიან უზარმაზარ მხარეს, როგორიცაა ქართლი. საჭიროა მთელი ქართლისთვის ისეთი დაწესებულება, რომელიც დაშორებული არ იქნება ჩვენ მხარეს და ამავე დროს შესძლებს სამეურნეო გაჭირვების დაკმაყოფილებას.

ასეთი დაწესებულება შეუძლიანთ შექმნან თვით ადგილობრივმა შეგნებულმა მეურნეებმა. ამ აზრით განიზრახა ერთმა ჯგუფმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსება ქ. გორში, წესდება უკვე დამტკიცებულია და მისი გახსნაც ამ დღეებში მოხდება (გახსნის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული), მივმართავთ ქართლის ყველა მეურნეს შეერთდეს, შეკავშირდეს ამ საზოგადოების სახით და შეერთებული ძალით ჩვენი მეურნეები ყველანაირ დაბრკოლებას აჯობებენ. თუ ჩვენი მეურნეები საქმიანობას გამოიჩენენ ეს მომავალი საზოგადოება დიდ კულტურულ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ქართლში. უსურვებ წინსვლას.

ი. ქურდიანი.

აზრ-გაუკუღმართებული სიტყვები

„ეშმაკის მათრახმა“ მარტის 28-ს ნომერში აიგდო **უგანათლებულესი**, როგორც ისეთი სიტყვა, რომელსაც აზრი გაჰბრუდებია. მაგრამ განა ცოტაა ეხლანდელ ჟურნალ-გაზეთობაში იმ გვარი გამოთქმა. მგონია, „ეშმაკს“ მათრახი აღარ შეჰრჩეს, თუ ყველა აზრგაუკუღმართებული სიტყვა მოსძებნა და გაამათრახა. მართლა განათლებული თუ გვესმის, როგორც ნასწავლი, რომელისაც სული და გონება სიბნელეში აღარ იმყოფება, ნათელქმნილია, უგანათლებულესი რად უნდა ჰნიშნავდეს ღირსებას თავადისას. თავადი, თუ გრაფი, შეიძლება იყვეს **უბრწყინვალესი**. უგანათლებულესი შინაგნად ბრწყინვალეა, უბრწყინვალესი კი შეიძლება მარტო გარეგნად ჰბრწყინავდეს, შინაგნად კი უდაბნელებულესიც იყვეს.

ავიღოთ ეხლა **კანონი**. სჯულის მეცნიერებაში კანონია ის წესი, რომლითაც განაგებენ საეკლესიო საქმეებსა. სჯულსა და კანონს შუა უძევს დიდი მზღვარი. ფრანგის სჯულის მეცნიერნი იტყვიან. ეკლესიის კანონი როდია სჯული სახელმწიფოსიო. კანონისაგან ვაწარმოებთ მხოლოდ კანონიერსა ისევე, როგორც ბერძნები კანონ სიტყვისაგან აწარმოებენ **კანონიკოს** დასართავ სახელსა. მაშასადამე კანონიკოს ქართულად უნდა ითარგმნოს **კანიერი** და არა კანონიერი, როგორც ეხლა შემოუღიათ. სჯულისაგან ხომ მარტო **სჯულიერს** ვიტყვით და არა სჯულიურსა.

„საქართველოს“ მარტის პირველის ნომერში სვეტიცხოვლელის წერილში. ნახმარია კანონიური უფლება. რედაქტორის გამართულია, თუ ავტორის ხმარებული, კანონიური შეუწყნარებელია ისევე, როგორც სჯულიური.

ვის არ გაუგონია ზღაპრებში, თუ ხალხის ლაპარაკში სიტყვა **სულიერი**, რომელიც ჰნიშნავს სულდგმულს, სულიანს, სულის მქონესა, მაგრამ დღეს ხალხს დაშორებულ ქართველ ნასწავლ კაცს მწერალ მოლაპარაკეს პირზე აკერია **სულიერი განცდა**, უცხო ენის მიბაძვით შემოღებული ფრაზა და ფიქრადაც არ მოსდის თუ, რას ჰნიშნავს სულიერი. კაცის სული რომ იყვეს რაიმე მდგომარეობაში გამიგონია, მაგალითად სულის ტანჯვა, სულის განსაცდელი, მაგრამ ტანჯვა, განსაცდელი, თუ განცდა რომ იყვეს სულიერი, ე. ი. სულიანი, სად გაგონილა. ცხადია, არ გვესმის ძალა იმ უცხო გამოთქმისა, რომლის ყაიდაზედაც გვწადია ქართული თანაბარი გამოთქმის შემოღება. ვაი ჩვენი ბრალი! ვითომც ვამდიდრებთ და ვჰქმნით ახალ ქართულსა!

ასეთივეა უცხო ენისავე მიბაძვით შემოღებული **კრიტიკის ქარცეცხლი**. ქარცეცხლი გამიგონია, როგორც ერთგვარი სნეულება, მგონია, კანისა. მაგრამ თუ კრიტიკისაც იქნებოდა ქარცეცხლი, ის კი არ მეგონა. უთუოდ ვინმე ოხუნჯს უხმარია ქართული კრიტიკის, როგორც ერთგვარი დაავადებული მწერლობის დასაცინად, გულუბრყვილოებს კი ვერ გაუგიათ და ეხლა კრიტიკის ქარცეცხლს ასაღებენ, როგორც ხალას ოქროსა. ჩემი მტრისასაც ნუ დაჰმართვია ქარცეცხლი, არა თუ ქართულ კრიტიკასა. ცხადია იმ უცხო გამოთქმაში სიტყვაა ისეთი, რომლის თანაბარი მნიშვნელობაც ქართულად აღარ იციან. ამდგარან ამის გამო და სხვა სიტყვა უხმარიათ, ხოლო რაკი იმ უცხო სიტყვას კავშირი აქვს ცეცხლთან, ქარცეცხლს მისცვივნიან. ცეცხლი მაინც ეხმარათ, როგორც გამწმენდი საშუალება? რაკი ქართველი მწერალი რუსულად ჰფიქრობს, ის სიტყვა უნდა იყოს **გორნილო**, ხოლო გამოთქმა გორნილო კრიტიკი. გორნილო ის ქურაა, რომელიც იხმარება მეტალის დასაწმენდად, ქართულად კი იმ ქურას ეწოდება **ბრძმედი**, მაშასადამე გორნილო კრიტიკი ქართულად უნდა ითარგმნოს **კრიტიკის ბრძმედი**.

მეცხრამეტე საუკუნითგან ახალ ქართული ენის შექმნის და გამდიდრების ისტორია რომ დაიწეროს, ბევრი ამისთანა კურიოზი აინუსხება.

პეტრე მირიანაშვილი.

სკოლების საჭიროება საინგილოში

როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ საინგილოში გაგზავნა საზოგადოების სკოლების მეთვალყურე ბ-ნი გრ. ბურჭულაძე და დაავალა მას სკოლის შესაფერისი ადგილი აერჩია იქ და საერთოდ ეს საქმე მოეწესრიგებინა ადგილობრივ პირობათა მიხედვით. ბ-ნი ბურჭულაძე უკვე დაბრუნდა ზაქათალიდან და თავისი მოხსენება წარუდგინა გამგეობას. აქვე ქვემოდ მოგვყავს მოკლე შინაარსი ამ მოხსენებისა, რომელიც ცხადზე უცხადესად გვიმტკიცებს, თუ რა უფსკრულის ნაპირამდისინ მისულა ქართული ეროვნული საქმე საინგილოში.

საინგილოს მაჰმადიან ქართველებს —ამბობს თავისს მოხსენებაში ბ-ნი ბურჭულაძე—თავისი ეროვნული ვინაობა დაუკარგავთ და სარწმუნოებას და ეროვნებას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს. აქაურ ქართველ მაჰმადიანების წარმოდგენით შეუძლებელია კაცი ქართველი იყვეს და იმავე დროს ქრისტიანი არ იყვეს ის. ამიტომაც ქართული კულტურის ყოველივე ნასახს გაურბიან და სამშობლო ენასაც ნელნელა ივიწყებენ. ასეთ გადაგვარებაში მათ ხელს უწყობენ არა ქართველი მოლები და პატარძლები. ასეთი შეუგნებლობა და მტრული განწყობილება ქართულ კულტურისადმი არ არსებობს არც აჭარაში და არც მესხეთ-ჯავახეთის მაჰმადიან ქართველთა შორის. ამის გამო—სამართლიანად ამბობს მომხსენებელი—დიდი შრომაა საჭირო, შრომა ხანგრძლივი და დიდის სიფრთხილით, რომ საინგილოს მაჰმადიან ქართველთა შორის ამოძრავდეს ეროვნული გრძნობა, გაღვივდეს იგი, გაიფურჩქნოს და დამკვიდრდეს.

სკოლისათვის ადგილის არჩევის შესახებ ბ-ნ ბურჭულაძეს უთათბირნია სოფ. კაკში ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწე ზ. ედილაშვილთან და მასთან ერთად გადაუწყვეტია, რომ, რადგან ჯერ-ჯერობით 1 სკოლის მეტი არ იხსნება, ამ სკოლის დაარსება თასმალოში აჯობებსო.

სოფ. თასმალო,—როგორც ბ-ნი ბურჭულაძე მოგვითხრობს,—დაბა კაკზე დაშორებულია 12 ვერსით, ზაქათალაზე კი 23 ვერსით. თასმალოში 87 კომლი სცხოვრობს, რომელთა შორის 3 კომლი ქართველი ქრისტიანია ხოლო 84 ქართველი მაჰმადიანი თასმალოს გარშემო არტყია სოფლები—ძაგამი 100 კომლი მცხოვრებით, ლალა-ფაშა 30 კომლით და მარსანი 60 კომლით. ყველა ეს მცხოვრებლები მაჰმადიანი ქართველები არიან. რასაკვირველია, სხვა სოფლებიც არის საინგილოში მაჰმადიან ქართველებით დასახლებული, მაგალითად, ალიაბათი. თასმალოში სკოლის გახსნა მოწყობაში—მომხსენებელის აზრით—მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი მღვდელი, მამა მიხეილ ყულოშვილი, რომელიც თვითონ ინგილოა და თავისი მამაშვილური ქცევით დიდი პატივისცემა და სიყვარული აქვს მოპოვებული არა მარტო თასმალოში. მასწავლებლად მიწვეულ უნდა იქნას უთუოდ კაცი, რადგან ქალს გავლენა არა აქვს საინგილოში, იგი ჯერ იქ მონაა მამაკაცისა. უთუოდ მიწვეულ უნდა იქმნას აგრედვე ქართული ენის მცოდნე მოლა, მაჰმადიანი ქართველი, რომელიც ასწავლის მაჰმადის სჯულს და ქართულ ენას. სოფელი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს, ჯერ-ჯერობით მაინც, სასკოლო ხარჯისაგან. სანამ სკოლა ფეხს მოიკიდებდეს, ყოველივე ხარჯი წერა-კითხვის [illegible] უნდა იკისროს. ბ-ნ ბურჭულაძეს სკოლის ხარჯთაღრიცხვაც შეუმუშავებია. ამ ხარჯთაღრიცხვით სექტემბრიდან წლის დამლევამდე სკოლის მოწყობას და სხვა ყოველივე ხარჯს მოუნდება 920 მანეთი. მომავალ 1917 წლის მთელი ხარჯი ნავარაუდევია 1050 მანეთი. ხარჯთაღრიცხვაში, სხვათა შორის, ყურადღების ღირსია მოლას ჯამაგირი: წლეულს მოლას მიეცემა თვეში 10 მანეთი, მომავალ წელში 5 მანეთი მიემატება თვიურად. თუ მოლას მეცადინეობით სკოლამ შესძლო ადგილობრივ მცხოვრებთა ყურადღებისა და თანაგრძნობის დამსახურება.

ბ-ნი მომხსენებელი, აღნიშნავს-რა ამ საქმისადმი მამა მიხეილ ყულოშვილისა და ბ-ნ ედილაშვილის დიდ თანაგრძნობას, ურჩევს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას დაუყოვნებლივ გაუგზავნოს ბ-ნ ედილაშვილს ფულები, რათა ამ თავითვე შეუდგეს იგი სკოლის გახსნის თადარიგს.

ბ-ნი ბურჭულაძე ასე ათავებს თავის მოხსენებას: „დაბა კაკშიაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქართული სკოლის არსებობა, ვინაიდან იმ 500 კომლ ქრისტიან ქართველს, რომელიც იქ ცხოვრობს სულ დაუვიწყნია სამშობლო ენა და თათრულად უკედ ლაპარაკობენ, ვიდრე ქართულად. თუმცა კაკში 2 კლასიანი ნორმალური სკოლა არსებობს, მაგრამ იქ ქართულს არ ასწავლიან და აქ ნასწავლნი ძალაუნებურად გადაჩვეულან ქართულს“.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

	№	ს. წ.
ბათომისკენ სამგ.	მ. 9	8.53 საღ.
„ საფ.	„ 3	9.58 დილ.
ხაშურისკენ სამგ.	„ 19-20	3.20 ნაშ.
ბაქოსკენ ჩქარი	„ 4	10.20 საღ.
„ ჩქარი	„ 6	12.8 დღის
„ სამგ.	„ 8	11.13 ღამ.
ყარს-ერევნ. საფ.	„ 4-3	11.13 ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან საფ.	მ. 4	9.30 საღ.
„ სამგ.	„ 10	9.51 დილ.
ბაქოდან საფ.	„ 3	9.3 დილ.
„ ჩქარი	„ 5	7.41 საღ.
„ სამგ.	„ 7	1.42 ნაშ.
ხაშურიდან სამგ.	„ 19-20	7.25 დილ.
ყარს-ერევნ. საფ.	„ 4-3	8.8 დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწორადებ.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9 „	23 „	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9 „	43 „	„
ვაზიანიდან	10 „	42 „	„
იორიდან	11 „	35 „	„
საგარეჯოდან	12 „	17 „	„
ბადიაურიდან	1 „	15	დღის
მელაანიდან	2 „	37 „	„
გურჯაანიდან	4 „	08 „	„
ვაჩნაძიანიდან	4 „	58 „	„
თელავში მიდის	5 „	35 „	„
გურჯაანიდან	4 „	18 „	„
კარდენახიდან	4 „	50 „	„
წნორის-წყალ. მიდის	5 „	15 „	„

თელავიდან

თელავიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „	45 „	„
გურჯაანიდან	10 „	46 „	„
მელაანიდან	12 „	02 „	„
ბადიაურიდან	1 „	13 „	დღის
საგარეჯოდან	2 „	15 „	„
იორიდან	2 „	53 „	„
ვაზიანიდან	3 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	31 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4 „	46 „	„
თბილისში მიდის	5 „	01 „	„
წნორის-წყლიდან	9 ს.	16 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	46 „	„
გურჯაანში მიდის	10 „	16 „	„

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.